



# ილორი



№ 13 (83) 5 მაისი 2009

სახალხო

მთარაობა

“სამეგრელოს” ორგანო

50 თმერი

## 9 მაისი გამარჯვების დღეა



გულოცავთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს ყველა დიდი სამამულო ომის მონაწილეს და მათი ოჯახის წევრებს.

კიდევ ერთხელ მოვისხენიებთ მოწიწებით იმ გმირ მეომართა სულებს, რომლებიც არ შეუდრკნენ საფრთხეს და მკერდი შეაგებეს მტრის მიერ ნასროლ ტყვიას.

## მაფალუ 8

“მე ვამბობ, საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ჩხოუშიელ კომუნისტებს შორის ავტონომისტური და სეპარატისტული ხასიათის მოთხოვნების წამოყენების გამო აბსოლუტურად უდანაშაულოა, ეს სტეფანე გაგუას და მაფალუელების მემკვიდრეობის რეანიმაციის ბრალია და თქვენ უნდა დაიჯეროთ”

პირობა 606033010

**მაფალუ**

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(ალტერნატივა)

„მაფალუ“ შერეული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინციტატივა კი არა, არამედ სიმეგრესის მონაწილეთა ქართული ეროვნული კულტურის გამადიდებელი მცდელობა იყო.

### ხსოვნის სტრიქონები

ნაწევრებამ ვებრულ ენაზე შემნილი ისტორიული პოეზიიდან “გულატიან”, რომლის ავტორი ბახლავაძე თამარაშვილი გამომდინარეობს და შემდგომში პოეტი დანიელ პავლეს ძე შიშია, ბთაშვილი ბაზუა “ილორში”. 113-ე წელი ილემ პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიჭრა პოლიტიკურმა უამინდობამ – საგზოგზოს სიმბოლოებით გამსჭვალული ბულანთის უამინდობა 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუბაიძის სამხრეთ პოეტიკის პასუხისმგებელი პროკატორისტი. დააპატიმრებისას დანიელ შიშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

საკაშვილის არაადექვატობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2009 წლის 25 აპრილს, როცა ქვეყანას საპროტესტო მიტინგების ტალღები აზანზარებდა, სააკაშვილი დასასვენებლად, თურქეთის საკურორტო ქალაქ ბოდრუმში ჩავიდა თანმხლებ პირებთან ერთად, რომელიც დღით დაიკავა ნომრები სასტუმრო “მარმარა ოტელში” და ამავე დროს, დაიქირავა ფეშენებელი იახლა “ლეიფ ანჯელა”... ამას იუწყებიან მსოფლიოს ინტერნეტგამოცემები. როცა სააკაშვილის ამ არაადექვატურ საქციელს საქართველოში მწვავე რეაქცია მოჰყვა, იგი მართლაც კურღლევიტით დაფრთხა. სასწრაფოდ ჩაალაგა ბარგი და თბილისში დაბრუნდა. ხალხს, ახლა მაინც თუ ხედებით, როგორ ჭირსაა გადაყრილი საქართველო ე.წ. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახით... ცინიზმი, აღვირახსნილობა, ძალადობა და სხვა მანკიერებებია ქცეული საქართველოს ხელისუფლების სამოქმედო იარაღად. ამას IV გვერდზე დაბეჭდილი ფოტომასალაც მიანიშნებს. მასში ასახული საპროტესტო დემონსტრაცია “მიეძღვნა” იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ თავბელურად მიითვისა ბადრი პაგარკაციშვილის მიერ საკუთარი სახსრებით გაშენებული და დამშენებული მთაწმინდის პარკი, რომელიც შემდეგ უკანონოდ მიყიდა არაბ ინვესტორებს. იმდენად დიდია ხალხის სიძულვილი და უპატივცემულობა სააკაშვილის მიმართ, რომ 28 აპრილს, სამების გამზარში, მიტინგების, შენობისა და სინანულის ლოცვაზე ამ მართლაც ვაი-პრეზიდენტმა სიგყვით გამოსვლა რომ მოისურვა, დამსწრენი მას საერთოდ არ უსმენდნენ, ბევრმა მლოცველმა კი, პროტესტის ნიშნად, რიგუალის დამთავრებამდე დასტოვა გამზარი. სააკაშვილი მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ მას მხოლოდ ალასანია ჩამოართვა ხელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართულ ანდამას – რაც ალხანაა, ისიც ჩალხანაა...

ახლა ყური  
გვიბლოს  
პრეზიდენტმა 4



7  
ვაბრკელავთ  
ნაწევრებების ბეჭდვას  
პროფსორ  
კლიმენტი შელიას  
წიგნიდან  
“კოლხეთი – ჩვენი  
სამყაროს კარიბჭე”

### ისტორიული მასალები

სამეგრელოს 5  
საამაყო  
შვილაგი



### დათა გულუა

ბაზეთი “ილორი” 12  
აქვეყნებს წერილების  
ციკლს, რომელიც  
ასახავს ფეხბურთში  
მსოფლიო  
ჩემპიონატების  
შინაღურ ბატალიებს.



6  
ამის  
დაკარგვის.  
ან  
დავიწყების  
უფლება  
არც რუსსა  
აქვს და არც  
ქართველს!

ნაწევრები ვ. ველიცკოს  
წიგნიდან “კავკასია”

არასამეწარმეო  
ურთიერთობის  
“ისტორიული  
მემკვიდრეობა”. ერეკლე  
მეორის საზოგადოება,  
გაზეთების საქართველო  
და მსოფლიოს” და  
“ილორის” რედაქციები  
8-9 მაისს საქართველოს  
მასშტაბით ატარებენ  
აქციას “ვიორვის  
ორდენის პაუზა”

# 9 მაისი გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების დღეა!

კატასტროფული სისწრაფით გარბის დრო – უკვე სამოცდაათი წელი გასულა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. თითქოს გუშინ იყო ყველაფერი – გამარჯვების დღესასწაული, თბილისის ქუჩებში მოლასლასე გერმანელი ტყვეები, რომლებიც საკუთარი ხელით ნაკეთები ციბრუტებისა და სარეცხის სამაგრი “შვილებს” გაყიდვით ცდილობდნენ დამატებითი ულუფა პურის შოვნას...

მართლაც დაუჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 1945 წელს საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა ჯარისკაცებმა საბედისწეროდ შემოატრიალეს ბრძოლის ჩარხი მაშინ, როცა მტერი უკვე მოსკოვთან იდგა და საბჭოეთის დამარცხება-განადგურებას თითქოს ხელს აღარაფერი უშლიდა. ახლა გვინდა მოვითხროთ უმაღლესი საბჭოთა სამხედრო წოდების მქონე იმ სამ ქართველზე, ვინც გადაამწყვეტი როლი ითამაშეს გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებისა და ქვეყნის გაძლიერების საქმეში.

## საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ოსებ ბესარიონის ძე სტალინი (1879 – 1953)

იგი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს, ქალაქ გორში, მეწაღე ხელოსნის ოჯახში. რევოლუციური მოღვაწეობისათვის 1899 წელს გარიცხეს გიმნაზიიდან, რის შემდეგაც არალეგალურად დაიწყო ცხოვრება და გახდა პროფესიონალი რევოლუციონერი. გაიარა მეტად რთული და ბრძოლებით აღსავსე რევოლუციონერის გზა. აქტიური მონაწილეობა მიიღო თვითმპყრობელობის დამხობაში – 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გატარებაში. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში სტალინი ასრულებდა რკპ (ბ) ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის მიერ რეკავშირის მებრძოლ დავალებებს: იყო რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი, პეტროგრადის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამხრეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი, სრულიად რუსეთის ცაკის წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოში. სტალინიმ თავი გამოიჩინა, როგორც სამხედრო-პოლიტიკურმა მოღვაწემ. სწორედ ამ დიდი გამოცდილების საფუძველზე ქარიზმატული ნიჭის წყალობით ჩამოყალიბდა ოსებ სტალინი, როგორც გამორჩეული მხედართმთავარი.

სტალინის მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის (1939), საბჭოთა კავშირის გმირის (1945), საბჭოთა კავშირის მარშლის (1943), უმაღლესი სამხედრო ტიტული – საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის წოდება (1945).

1941-1945 წლებში ოსებ სტალინი ხელმძღვანელობდა პარტიის მრავალმხრივ მოღვაწეობას სსრკ თავდაცვის განმტკიცებისა და ფაშისტური გერმანიის განადგურების ორგანიზებისათვის. 1941 წლის 6 მაისს ოსებ სტალინი დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, 1941 წლის 30 ივნისს – სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, 19 ივლისს სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრად, 8 აგვისტოს – სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალად, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, მონაწილეობდა სამი სახელმწიფოს – სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის თეირანის (1943), ყირიმისა და პოტსდამის (1945) კონფერენციებში.

1959 წლის 21 დეკემბერს – სტალინის დაბადების 80 წლისთავზე ლონდონის თემთა პალატაში უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა: “დიდი ბედნიერება იყო



რუსეთისათვის, რომ უმძიმესი განსაცდელის უამს ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი სტალინი... იგი გახლდათ უჩვეულო რთული პიროვნება. მან შექმნა და დაიმორჩილა უზარმაზარი იმპერია. იგი იყო კაცი, რომელიც თავის მტერს მუსრავდა მტრისავე ხელით. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში, – კაცი, რომელმაც ჩაიბარა ხისკავიანი რუსეთი და დატოვა ატომურბომბიანი სახელმწიფო.

ისტორია, კაცობრიობა ასეთ ადამიანებს არ იფიქვებს”.

## საბჭოთა კავშირის მარშალი ლაგერენტი პავლეს ძე ბერია (1899 – 1953)

ლაგერენტი პავლეს ძე ბერიამ 1919 წელს დაამთავრა ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ადრეული პერიოდიდან ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში. ახერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იატაკქვეშა პარტიულ მუშაობას ეწეოდა, რისთვისაც დააპატიმრეს. 1920 წლის აგვისტოდან მუშაობდა ახერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცკ-ის აპარატში. 1921-1931 წლებში ახერბაიჯანის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (საგანგებო კომისიის) ორგანოებში ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა.

1931-1938 წლებში მუშაობდა საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ერთდროულად ხელმძღვანელობდა თბილისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას და აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს. საქართველოში მისი მუშაობის დროს განხორციელდა დედაქალაქის გენერალური რეკონსტრუქცია, აშენდა სახლები, ქუჩები, პარკები.

1938-1953 წლებში მუშაობდა მოსკოვში. 1946 წლამდე იყო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, 1941 წელს დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, ხოლო 1944 წლის მაისიდან თავმჯდომარის მოადგილე. 1953 წელს დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1943 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის, 1945 წელს – საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. ლაგერენტი ბერიამ უდიდესი როლი შეასრულა მძლავრი საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო აპარატის შექმნაში, კერძოდ, უნიკალური სადაზვერვო სისტემის ჩამოყალიბებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი



სამაგალითო ოპერაცია, რაც სახელმწიფოს მიერ მეოცე საუკუნის უახლესი ფუნდამენტური სამეცნიერო აღმოჩენების დაუფლებაში გამოიხატა. ყოველივე ეს ბერიამ მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაატარა.

1943 წლის დამლევს მას დაევადა ყველაზე პასუხსაგები და საიდუმლო პროექტის – ატომური ბომბის შექმნის ხელმძღვანელობა. პროექტის ხორცშესხმაში მონაწილეობდნენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერები. აკადემიკოსმა კურნატოვმა არაერთხელ აღიარა, რომ, თუ არა ლაგერენტი ბერიას უბედლო ორგანიზატორული ნიჭი და მუსხლანურული, დაძაბული შრომა, საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა მრავალი წლით გადაიდებოდა.

მეორე მსოფლიო ომში სრულიად გამოვლინდა ბერიას სამხედრო ნიჭი – კავკასიაში გერმანელი ფაშისტების შემოჭრის აღმკვეთი ზომების მიღების სახით.

15 წელი ედგა სათავეში ბერია საბჭოთა სტრატეგიულ დაზვერვას, რომლის სწორუპოვარ პროფესიონალად ითვლებოდა. ფლობდა რვა ენას.

როგორც ირკვევა, ბერიას შემუშავებული ჰქონდა სოციალიზმის მოდერნიზაციის გეგმა, კერძო სექტორის გაძლიერების კონცეფცია, დია, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების პარადიგმა. მაგრამ ყოველივე ეს მას არ დასცადა – შინაპარტიული ბრძოლის ინტრიგების მსხვერპლად იქცა.

ლაგერენტი ბერია ვერაგულად მოკლეს 54 წლის ასაკში, მაშინ, როდესაც მას შეეძლო საბჭოთა იმპერიის გარდაქმნა.

ბერიას სიკვდილიდან 56 წელი გავიდა, თუმცა, დღესაც ბურუსით არის მოცული მისი ხანმოკლე, მაგრამ ბოლოქარი ცხოვრების არაერთი ეპიზოდი. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ცნობილი სადაზვერვო საქმის პროფესიონალები მას მეოცე საუკუნის უპირველეს მხვერავს უწოდებენ.

## საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი (1915-1978)

დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ სპათავორში. იგი იყო საინჟინრო ჯარების მარშალი (1977), საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე სამხედრო მშენებლობისა და ჯარების დაბინავების დარგში (1974-1978), ლენინური (1968) და სახელმწიფო (1977) პრემიების ლაურეატი, საბჭოეთისა და უცხოეთის მრავალი ორდენის კავალერი.

სამხედრო-სახლავო ფლოტში სამსახური დაიწყო 1939 წელს, საშუალო სკოლისა და ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. დამთავრა ლენინგრადის უმაღლესი სამხედრო-სახლავო სასწავლე-



ბელთან არსებული მოკლევადიანი კურსები.

დიდ სამამულო ომში, შავი ზღვის მიუღწევარ ვლოტთან ერთად, არჩილ გელოვანის საინჟინრო შენაერთები თავდადებით იბრძოდნენ და შრომობდნენ – მათი უპირველესი მოვალეობა იყო სახლავო ბაზის დაცვისათვის მადლობეზე სანაპირო სარტილური ბატარეების დაყენება, ტანკსაწინააღმდეგო კვანძების მოწყობა, საზენიტო არტილერიის საბრძოლო პოზიციების გამართვა... მონაწილეობდა სევასტოპოლის, ყირიმის კავკასიის დაცვაში. ჯერ კიდევ ერთ-ერთ პირველ საბრძოლო წარდგინებაში კკ-ითხულობთ: “ბრძოლების დროს არის გაბედული, მშვიდი და მოხერხებული, წინდახედული და ძლიერი ნებისყოფის მეთაური”.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი შეუდგა დანგრეული ქალაქების აღდგენას. თითქმის მიწასთან გასწორებული სევასტოპოლი არჩილ გელოვანის უშუალო ხელმძღვანელობით აღორძინდა, რისთვისაც სევასტოპოლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

1962 წლიდან მსახურობდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებში და სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. პირდაპირ მეთაურობდა ურთულესი ზესაიდუმლო საინჟინრო-თავდაცვითი და კოსმოსური ობიექტების მშენებლობას.

1974 წლიდან დაინიშნა სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილედ სამხედრო მშენებლობისა და ჯარების დაბინავების დარგში. 1977 წელს კი სამხედრო ინჟინერ-მშენებელთა შორის პირველს მიენიჭა საინჟინრო ჯარების მარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება. იგი მრავალმხრივ განათლებული პიროვნება გახლდათ – შესანიშნავად ხატავდა, უკრავდა ფორტეპიანოზე, დეკლამირებდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, უყვარდა ლიტერატურა, თეატრი, კინო...



“აწმყო, შობილი წარსულისაგან...”

ნატო კორსანტიას წიგნი “ჩემი სახლი” პუბლიცისტური წერტილები კრებულია. თუ გაიფიქრებთ პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელ სიმ-შრადეს, არაემოციურობას, ფაქტების მხოლოდ აღწერას და არა განსჯას, მკითხველი, ცხადია, წიგნისგან მხატვრული ნაწარმოების სილამდე არ ელის, მაგრამ ბოლოს სასიამოვნო იმედგაცრუება რჩება ხელთ. ამ წიგნში შესული თითოეული წერილი ცალკე ნოველაა თავისი სიუჟეტით, ხასიათებით, მხატვრული სახეებითა და ფინალით. ცალკე, დამოუკიდებლად თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვთ ამ მხატვრულ-დოკუმენტურ მოთხრობებს და ერთიანად კი ქმნის მთლიან, განუყოფელ ტილოს, რომელზედაც გონისმიერი მსჯელობის გარდა სულის დიდი ტკივილია აღბეჭდილი.

დღის ნამზითვი ულამაზესი სუფრის ფრაგმენტები ამშვენებს წიგნს და მხევენება, ის აკვირებს აწმყოს წარსულთან, შთამომავალს წინაპართან. ეს ფრაგმენტები კრავს თითქოს წიგნსაც და სამივე დროსაც – წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ღამაზად დაკეცილ-განახლებული სუფრა (წარსული) მომავლის სიმბოლოდ, იმედად და სიძლიერედ ილანდება.

წიგნში შესულ ყველა წერილს ერთი ანოთო სათაური – “ჩემი სახლი” აქვს. სახლი, რა თქმა უნდა, არ არის მარტო საცხოვრებელი, სახლი სამშობლოა, სახლი ფიქრი და ოცნება, წარსულია, მომავლის იმედია, ზღუდე და ფარია... შეიძლება სახლი დაინგრეს, ნებით თუ იძულებით დაიკარგოს, მაგრამ მისი მესიერებებიდან ამოშლა შეუძლებელია. ხანდახან მეხარება კიდევ იმ ადამიანებისა, რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად, მაგრამ მაინც ახერხებენ თუნდ დროებით, სახლში დაბრუნებას, საკუთარ ციხე-სიმაგრეში, რათა სულიერი ძალა და ენერჯია აღიდგინონ, განიახლონ. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებითად ყველანი ერთნაირ ვითარებაში ვართ, რადგან

“ის”, ნამდვილი სახლი აღარავისათვის არ არსებობს (არც მათთვის, ვინც იქ ცხოვრებას განაგრძობს, არც იმათთვის, ვისაც ომის მერე თვალშიც არ მოუკრავს მისთვის). “ის”, სახლი ცოცხლობს მხოლოდ მეხსიერებაში, მხოლოდ სულში, სიზმრებში და მისი იქიდან განდევნა არანაირ ძალას არ შეუძლია.

ამ კრებულში ერთ ხაზზე ასხმულა, ერთ ულამაზეს მძივად შეკრულა გულის მონაწიური თვრამეტი ნოველა, ერთმანეთის მსგავსი და ერთმანეთისაგან განსხვავებული – სევდით, ნაღველით, იმედითა და სიხარულით გაერთიანებული.

ულამაზეს ხატებად რჩება მკითხველის მეხსიერებაში ენგურის პირას მდგარი ნაძვები, თეთრი, სიფრთვანა ძაფებით “მორთული” ხეები. აქედან გარდაცვლილი ადამიანების სული გადაჰყავთ, იქით – მშობლიურ სახლში, თეთრ ძაფებს. ნეტა ცოცხალთა სულების გადაყვანაც თუ ძალუბთ მათ? თუმცა, რაღა გადაყვანა, მათი სულები ხომ ისედაც იქ არიან, წუთითაც არ განშორებინან საკუთარ სახლ-კარს, ეზო-მიდამოს და მხოლოდ ფიზიკურად დახვეწილი პატრონების სხეულების დაბრუნებას ელოდებიან.


მანამდე კი – ვისაც სახლიდან შორს ყოფნა გამოუცდია, იცის, რა ძვირფასია თითოეული ნივთი, რომელიც სახლს აკრებს. “იქაური” ყველაფერი სიმბოლოდაა ქვეული, ამიტომაც ვეფერებით და ვუფრთხილდებით განსაკუთრებული სევდითა და სინაზით. და მხოლოდ მწერალს უნდა ეთქვას: “ვამზერებ ხოლმე ჩემოდნებსა და ყუთებში ჩამწყვდეულ მოვინებებს”.

“ხეებს ვერაფერს მოკლავს” – ასეა დასათაურებული ერთი მონაკვეთი წიგნისა, რომელსაც ეპიგრაფად ოთარ ჭილაძის სიტყვები აქვს. აქ უნებურად გამახსენდა სერგო წერეთლის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟის, დევნილი მამაკაცის ფრაზები: “ბედნიერი ხეები, მათთვის არსებობს უთქვამს ვინმეს, წადით, დატოვებთ თქვენს ტყეებს და საცხ-

ოვრებული ადგილი შეიცვალეთ”. მშობელ მიწაში ფესვადგმული ხეებისა მაინც შეიძლება ეხარებოდეს იმავე მიწაში ყელამდე ჩაფლულ ადამიანსაც კი. ის ჩიტები კი, ავტორს რომ მოუსაკლისებია ეზოში, დაუნას ან თხილნარს კი არა, ადამიანის უგულობას, მის უზნებობასა და მძიმე ცოდვას დაემალნენ, “მოუყრის კი მათ ისევ თავს დაფნარს ჩანაცვლებული თხილნარი?” ეს მტანჯველი კითხვა პირადად ჩემთვის ასე ტრანსფორმირდება – “შეძლებთ კი ოდესმე ჩვენს ცოდვათა მონანიებას?”

ნოველა “ღუმელში”, დუმელი დანგრეული, დანაცრული კერის სიმბოლოა, იავარქმინილი სახლის, ფესვებს მოწყვეტილი სიცოცხლის, დაშლილ-დანაწევრებული ოჯახის, მოშლილი ფუძის განსახიერება. ასე რომ, სრულიად გასაგებია ავტორის ოცნება: “ვიპოვოთ ბუხრის მწმენდავი, რომელიც დასშულ საკვამურს გამოასუფთავებს...” ვინ შესძლებს და გაწმენდს და დაალაგებს ადამიანთა ურთიერთობებს, ამოყირავებულ რეალობას, ვინ მოიტანს სულის მშვიდობას? ქართველნო, სად არის გმირი? როდის დადგება ის დრო, როცა ისევ აგუგუნდება ჩვენი ბუხარი?

ყველა ქალაქს, ყველა სოფელს, ყველა სახლს აქვს თავისი ფერი, ხმა, სურნელი. ომი ნგრევა, სისხლისღვრა და ძარცვა-გლეჯაა. ომისას ყველაფერი იძარცვება ხმისაგან, ფერისაგან, სურნისაგან და კვდება ქალაქი, კვდება სოფელი, კვდება სახლი... მაგრამ ეს უცნაური აკვირება თუ მოლანდება, ხსოვნის ხეულები თავს არ გვანებებს ყოველდღიურობის ორომ-ტრიალში ჩართულთ და გვესმის მშობლიური ხმები, ხან ტკივილამდე ნაცნობ სუნს შევიგრძნობთ, ხანაც საკუთარი ქუნა თუ სახლი მოგველანდება. ეს მირაჟი და სიზმარი კი არ არის, რეალობაა და ცოცხლობს ქალაქი, სოფელი, სახლი, ქუნა. და არ არსებობს ძალა, რომელიც ჩვენსას, საკუთარს, მშობლიურს, თბილს და საყვარელს დაგვაიწვევს, წავგართმევს ან დაგვიზღუდოს.



ამიტომაც ვერ ზიდეს მოროდორობმა ავტორის საქანელა კი არა, იმ საქანელაზე დარწმუნული ოცნებები და იმედები. ამიტომ ვერ წაართმევენ ათასობით ფუქემოშლილ ადამიანს მომავლის რწმენას.

წიგნის ბოლოს ავტორი პირდაპირ, უშუალოდ სახლს მიმართავს. ეს ერთი მშვენიერი ნოველაა ამ ისედაც ღამაზ კრებულში. მთელი ტირადა ამოსულია გულიდან და ყველა მკითხველის სათქმელს ამბობს. საკუთარი სახლის სიყვარული განზოგადებულია და ამდლებულია სამშობლოს სიყვარულის განცდამდე. კერძო, პირადული გაშლილა, გაფართოებულია. ამიტომაც ეცხება მალამოდ ჩვენს გრძნობა-გონებას ეს მოწოდება: “მე და შენ სხვა გზა არცა გვაქვს, სახლი!.. მე ყოველთვის შენგან უნდა ვისწრაფოდე, შენ ყოველთვის უნდა მელოდებოდე”.

ჰო, სახლი ცოცხალია, მასაც შეუძლია სიყვარული და სიძულვილი, წყენა და სიხარული და ღოღინი, ხანგრძლივად, უსასრულოდაც კი...

ნინო ვახანია

ბ ა მ ო ხ მ ა შ რ ე ბ ა ბ ა მ ო ხ მ ა შ რ ე ბ ა ბ ა მ ო ხ მ ა შ რ ე ბ ა

ქ ი ღ ე ვ ე რ თ ს ე ლ ლ ა ვ რ ი ნ ბ ი ბ ე რ ი ა ს შ ე ს ა ხ ე ბ

მას შემდეგ, რაც ჩვენმა გაზეთმა მთელი ნომერი მიუძღვნა სახელგანთქმული ქართველი საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლავრენტი პავლეს ძე ბერიას ცხოვრებას, მოღვაწეობასა და იდუმალებით აღსავსე აღსასრულს, რედაქციას უამრავი ადამიანი გამოუხმაურდა. ისინი გვაწვდიან დამატებით ინფორმაციას ბერიას თაობაზე. გვირგვინი გარკვეული დახმარების აღმოჩენას, იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს სამეგრელოს დედაქალაქ ზუგდიდში ლავრენტი პავლეს ძე ბერიას ძეგლის დადგმის თაობაზე.

ამას წინათ რედაქციაში გვესტუმრა გაზეთ “ილორის” ერთ-ერთი აქტიური მკითხველი, ცნობილი ჟურნალისტი ბატონი ალექო თოდუა, რომელმაც გვისახსოვრა ქართული ვარიანტი თავისი წიგნისა “ბერიას ოდაბადე – საქართველო-აფხაზეთი”, რომელიც 2003 წელს მოსკოვში გამოცემულა რუსულ ენაზე, 2007 წელს კი, პატრიოტ ქართველთა ძალისხმევით, წიგნი ქართულ ენაზეც გამოიცა. აღნიშნულ ნაშრომს წამდგარებული აქვს რუსული გამოცემის რედაქტორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზ. კვარაცხელიას შემდეგი წინასიტყვაობა: “ლავრენტი პავლეს ძე ბერიას ცხ-

ოვრება – საქმიანობა ხდება იმის მტკიცებულება, რომ ხალხი ბოლომდის პატივს სცემს მხოლოდ იმათ ხსოვნას, რომელნიც ბედისწერის გამო ყოფიერებიდან გადადიან მარადისობაში. შედეგად ისინი ხდებიან ლეგენდებისა და მითების პერსონაჟები...”

...ლავრენტი პავლეს ძე ბერია ერთი იმათაგანია, რომლის სახელის ირგვლივ შექმნილია ბლომად ლეგენდები, ჭორები, ცრუ მტკიცებები ერთი მიზნით – მიაწოდონ მსოფლიო საზოგადოებრიობას აზრი: თითქოს მისი მუხანათური ლიკვიდირება იყოს დიდი სიკეთე, სამართლიანობის ზეიმი.


ჟურნალისტი ალექო თოდუას წიგნი ატარებს პოლემიკურ ხასიათს, კიდევაც, რისი წყალობითაც, იკითხება მსუბუქად, ამდლებული ინტერესით. ის ყვრდნობა ისტორიულ ფაქტებს. ლავრენტი პავლეს ძე ბერიას საქმიანობის იმ შეფასებას, რომლებსაც შეიცავს ადრე გამოქვეყნებული ბერიას საქმიანობის კარგად და უშუალოდ გაცნობიერებულ ავტორთა შრომები, რომელთა საიმედოობაში ეჭვი არ შეიტანება...”

გაზეთ “ილორის” რედაქცია აბსოლუტურად იზიარებს წიგნის რედაქტორის, პროფესორ, ბატონ ზ. კვარაცხელიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლავრენტი ბერიას რეაბილიტაცია არ

გახლავთ მხოლოდ მსოფლიო მასშტაბის მხვერავის “შენდირის ღირსების” დაცვის საქმე. უფრო სწორად და უსათუოდ, “ისტორიული სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობაა”, რომლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ დონეზე გადასვლა, – გადასვლა ბოროტებიდან სიკეთეზე.

წიგნის რედაქტორი ასევე აღნიშნავს, რომ: “ერთაშორისი და ეთნოშორისი ურთიერთობის პოლიტიკის საკითხების განხილვისას, ავტორის მეტყველების სიმბაფრემ მკითხველის გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს, იმდენად, რამდენადაც ის სიმართლეა. ასევე გაგებით უნდა მოვევიდეთ ავტორისეულ პრინციპულ პოზიციას: თავისუფალი საქართველო-რუსეთს შორის მეგობრული, უადრესად კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების აუცილებელი წინაპირობაა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. თუმცა, სწორედ ამაში იკვანძება გამოცემული წიგნის პოლიტიკური დატვირთვა – და მისი მნიშვნელობა”.

ფაქტობრივი, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალების სიუხვე იმის დასტურის გახლავთ, რომ წიგნის ავტორს ტიტანური შრომა აქვს გაწეული, რაც დიდ ღირსებას სძენს აღნიშნულ ნაწარმოებს.



გაზეთ “ილორის” რედაქცია ულოცავს ღრმად პატივცემულ კოლეგას ბატონ ალექო თოდუას შთამბეჭდავ შემოქმედებით გამარჯვებას და უსურვებს ჯანმრთელობას და მომავალ წარმატებებს. აღნიშნული თემისა და ლავრენტი პავლეს ძე ბერიას პიროვნებისადმი საზოგადოების უსახლვო ინტერესის გათვალისწინებით, გაზეთი “ილორის” უახლოეს მომავალში შესთავაზებს მკითხველს ნაწევრებს ალექო თოდუას წიგნიდან “ბერიას ოდაბადე – საქართველო-აფხაზეთი”.

გაზეთ “ილორის” რედაქცია

# ახლა ყური გვიგდოს პრეზიდენტმა

დღეს ყველანი ვხედავთ, რომ საქართველოს მომალადე ხელისუფლება გზაგასაყარის ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთზე დგას.

დას, ბატონებო, თქვენ ამოწურეთ ქვეყნის მართვის შესაძლებლობა: ვერც დემოკრატიული მართვის პრინციპები აითვისეთ და არც დიქტატურის დასამყარებლად გეყოფთ ძალა. ხუთი წელია ვერ გარკვეულხართ, როგორ ქვეყანას აშენებთ – საერთოდ აშენებთ კი? რა გსურთ (თქვენი საკუთარი კეთილდღეობის გარდა)?

მე ასაკი მაძლევს უფლებას, გამბედავი ვიყო, რადგან დარჩენილ სიცოცხლეს არ მინდა ფაქტად მოუპყრო იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლებები ფეხქვეშ უხეშად ითევლება და სრულ არარაობას წარმოადგენს; იქ, სადაც თქვენ ხართ ქვეყნის პრეზიდენტი – გაუწონასწორებელი პიროვნება, ბუნებრივია, რომ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა პოლიტიკურად თუ ბიოლოგიურად სრულიად უსახური და აგრესიული ბუნების მქონე გიგი თარგამაძე. გადარჩენილი ცინიკოსი გიგა ბოკერია, ყოველგვარი სიმანქანის სილამაზედ წარმომდგენი პავლე კუბლაშვილი, პოლიტიკურად და ადამიანურად დეფორმირებული: ეკა ხერხეულიძე და ნუგზარ წიკლაური, ოპოზიციაში კი არიან სპეცსამსახურის აქტიური თანამშრომელი, ყველას მომტყუებელი გიორგი თარგამაძე, “ქვეყნის ბედზე მოფიქრალი” მაგდა ანიკაშვილი და სხვები და სხვები...

ბატონო მიხეილ სააკაშვილი! რაც თქვენ ხელისუფლებაში მოხვედით, ხალხისათვის სიმართლე არ გითქვამთ. თქვენ ისეთი ფსიქოლოგის პროუნება ბრძანდებით, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, სარკის წინაშეც კი არ იტყვიან სიმართლეს. მაგრამ რას იზამ, თუ განგებას მატყუარად გაუჩინებარ! ახლა უკვე გვიანაა – “პროფესიას” ვერ შეიცვლით.

მინდა შეგახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის აგრადამ ლინკოლნის სიტყვები: **“ზოგჯერ ხერხდება ხალხის მოტყუება, მაგრამ გარკვეული მცირე დროით, უფრო ხანგრძლივად კი ნაწილისა, მაგრამ ყოველთვის ხალხს ვერ მოატყუებთ.** თქვენ რომ გაკვირდებით, ჭაბუა ამირჯანაშვილის ბრწყინვალე ნაწარმოებ **“დათა თუთაშხიას”** ერთ-ერთი გმირი, სერთური (მაშა-მარჩინალი) მასწავლებლა, მუშახალხს რომ აბრძოლებს. თქვენც ხომ არაინაკლებს ენერგიულად ცდილობთ ქართველი ხალხის გაბრძოლებას სიცრუის ისეთი სრულიად ახალი ფორმებისა და მეთოდების შემოღებით, როგორცაა: აცთუნო, შეაშინო, დააბრმაო, აყარო, გაყარო, თვალბეჭო, ჩააფურთხო, პროვოკაციაზე წამოაგო, უნებლიედ მცდარი ნაბიჯი გადადგმევი, თქვენს მიერ **“შემოტენილი”** სისულელეებზე ტაში დააკერვენი, მაგრამ იცოდეთ, ხალხის მდელგარებას ვერ შეაჩერებთ, რადგან საზოგადოებაში დაგროვდა რაოდენობრივი ცვლილებებისადმი მოთხოვნილება, რომელიც თვისობრივობაშია გადასული და ამას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

შეიძლება დანგრეული სახლები, სოფლების, ქალაქების ხელახლა აღდგენა, მაგრამ ვინ დაუბრუნებს ციმციმს დაღუპული ბავშვების, ჯარისკაცების, მშვიდობიანი მოსახლეობის გაცივებულ თვალებს? ქვეყანაზე მოფიქრალი პრეზიდენტი ომს არ დაიწყებდა, თავიდან აიცილებდა, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ ჩინეთმა გააკეთა. ჩინეთსა და ამერიკას შორის, როდესაც ურთიერთობა დაიძაბა კუნძულ ტაივანთან დაკავშირებით, ჩინეთმა ამერიკას ათასზე მეტი სერიოზული გაფრთხილება გაუგზავნა, მაგრამ ომი არ დაუწვია. თქვენ კი საერთაშორისო დონეზე ოფიციალური განცხადება არ გაგიგზავნიან; ისე, დამის 12 მის ახრთზე, აკრძალული იარაღით ცეცხლი გაუხსნით საკუთარ მოსახლეობას. ამით ამტკიცებთ, რომ სამანაბლო საქართველოს

ტერიტორია არ არისო. ეს რუსეთმა კარგად გამოიყენა და საქართველოს მოსახლეობის (მხედველობაშია სამანაბლო) ახალი ტერიტორიები მიითვისა, რასაც იქიდან ქართული მოსახლეობის გამოდევნა მოჰყვა.

ისტორიულად ცნობილია, რომ შიდა კონფლიქტური მდგომარეობა ბევრ ქვეყანას ჰქონია, რასაც მათი ხელისუფლება გონივრულად უდგებოდა. ესპანეთში, სამოქალაქო ომში, სადაც ერთმანეთს ეომებოდნენ რესპუბლიკელები და ფრანკისტები, ორივე მხარის მსხვერპლი ერთ სასოფლაოზე დაკრძალეს, რადგან ისინი ესპანეთის შენობები იყვნენ და სამშობლო-სათვის იბრძოდნენ. ოსებიც ხომ საქართველოს შეილები არიან?

ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, როდესაც საანგარიშო მოსხენებას აკეთებს, შეფასებას აძლევს გაკეთებულ საქმეს. თქვენს ანგარიშში არც საქმიანობის ანალიზი ჩანს და არც მომავლის ამოცანები. თქვენ შეგნებულად აუარეთ გვერდი ქვეყნის მთავარ პრობლემას – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს. ნუთუ ვერ ხვდებით, რომ აფხაზეთისა და სამანაბლოს დაკარგვით საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და ეკონომიკური პოტენციალი რომ ნახევრდება. საქართველოს არეალის შემცირება გჭირვს ქვეშ აყენებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითშეგნებას, ეროვნულ ღირსებას, სულიერ ერთიანობას. ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე, ქართული ეროვნული, სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, სულიერი, ზნეობრივი განვითარება შეუძლებელია! მაშინ სულ სხვა საქართველო იქნება.

თქვენგან ხალხი მოელოდა ამ უაზრო მითან დაკავშირებით ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას. თქვენ კი ეს მხოლოდ **“ფარისათვის”** გამოიყენეთ. გზის მშენებლობაზე საუბარი კარგია, მაგრამ მთავარი ამ პერიოდში ის არის, თუ რამ განაპირობა ესოდენ სამარცხვინო დამარცხება. თქვენი სიტყვებით: **“შიშველ, მშიერ, მოუშაადებელ”** არმიას ორი დღე ვერ გაუძლო თქვენმა ნაქებმა არმიამ, რომელსაც მიღიარდები დაახარჯეთ. მეომრები კარგად იბრძოდნენ, მაგრამ თქვენ და თქვენი **“სარდლები”** – კირკიტაძე, უგულაძე, გივი თარგამაძე, გაბაშვილი და მაჭავარიანი არ ვარგოდით. თქვენ, მარცხს **“შეისრეს”** აბრალდებთ. ჩემს მრავალრიცხოვან წერილებში გირჩევდით – მართალია ჯარს ამერიკელები წერთინდნენ, მაგრამ ჯარისკაცს, პირველ რიგში, იდეოლოგიური მუხტი სჭირდება, პატრიოტული სული უნდა შთაბერო, თორემ მტერთან პირველსავე შეხვედრაზე შეკრთება, დაიხოქებს. ჯარისკაცს მუხტი თუ არა აქვს, ტანკს არ შეუვარდება და ამბრაზურას არ გადაეფარება. ომს კი არა, უბრალო თამაშსაც კი მოტივაცია სჭირდება. მაგრამ თქვენი სენსაციური განცხადება ძალიან გვაკვირებს **“ომში გამარჯვებული და დამარცხებული მაშინ ვლინდება, როცა ომი დამთავრდება”**. როგორც თქვენი განცხადებებიდან ჩანს, კიდევ აპირებთ ომს! ამით კი გინდათ, რომ საბოლოოდ გაანადგუროთ საქართველო და ქართველი ერი, მაგრამ ხალხი თქვენ ამის უფლებას არ მოგვცემთ. აგვისტოს ომმა ბევრი რამ ვგასწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ ვერაფერი ვერ ისწავლეთ...

## ახლა ყური გვიგდოს საპარლამენტო “ოპოზიციაში”!

ცნობილია პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ბატონმა რევაზ ამაშუკელმა გიორგი თარგამაძეს უწოდა **“მალსტუხიანი ხელი”**. მართალია, გარეგნობით ზედმიწევნით შეეფერება, მაგრამ ხომ არ შეეურაცყოფთ ამ უწყინარ არსებას? მას, ჩემს აზრით, მეტსახელად მორიელი უფრო შეეფერება, რადგან დაღატი პროფესიად აქვს გადაქცეული. რაც შეეხება იმას, რომ

ხალხმა **“მადიმან ბარათაშვილი”** უწოდაო, ეს ძალიან მოკრძალებულად მეჩვენება, რადგან ქართული სახელმწიფოს დაარსების დღიდან დღემდე მოლაღატეებს, ერთად აღებულს, ყველას საქართველოსათვის იმდენი ცული არ გაუკეთებია, რაც გიორგი თარგამაძემ და ხელისუფლების მიერ შეკოწიწებულმა ე.წ. **“ოპოზიციაში”** გააკეთა. ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის შექმნაში მათ ლომის წილი მიუძღვით. ერის მოლაღატეებს გიორგი თარგამაძის თავგაცობით, კერძოდ, ჯონდი ბალათურისა, პაატა დავითიას, გია ცაგარეიშვილს, გია თორთლაძეს და ზოგიერთ სხვას. არც ერთიანი ეროვნული საბჭოს შეცდომებს გამოვირიცხავ, რადგან უავტორიტეტო, არაკეთილსამიშრო პირები, საეჭვო რეპუტაციის გვაშობს, საარჩევნო სიას სათავეში ჩაუყენეს (თავად აღნიშნეს, რომ ვიცოდით ხელისუფლების სამსახურში იყვნენ). სააკაშვილი საომარ ოპერაციას არ დაიწყებდა შინააშლილობისა და ოპოზიციური პარტიების აქტიურობის პირობებში. ოპოზიციაში გადაადგმევინა მას ეს ბრიყული ნაბიჯი. სწორედ თქვენ აქციეთ **“დემოკრატად”** ერთმმართველი დიქტატორი. მიეცით მას საფუძველი ევროპაში განეცხადებინა, რომ თქვენი სახით ძლიერი საპარლამენტო ოპოზიცია ჰყავს. დღეს ვხედავთ, რომ ეს მოდელაბრეტა ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებას გადაეფარა **“ქვეყნის პატრონად”** გვევლინება, ხალხის მოსაწვევლად კი ღია კარის მტვრევით არიან დაკავებული. მათ შორის გამოირჩევა არჩევნების წინა დღეებში სპეციალურად გამოჩეკილ ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი გიორგი თარგამაძე, ადამიანი, რომელიც არაფერ ქრისტიანული არ აკეთებს. ყველა მისი გამოსვლა თუ მოქმედება აგებულია მხოლოდ თვალთმაქცობაზე, ფარისევლობაზე, დემოკრატიაზე. სადაც კი გიორგი თარგამაძეს უშუალოდ, ყველანი აღნიშნავენ, რომ იგი ჯერ ხალხის ნდობას მოიპოვებს, შემდეგ კი ღალატობს. ამას მოწმობს რამდენიმე წლის წინ ლონდონში გაგზავნილი ასლან აბაშიძის წერილი ბადრი პატარკაციშვილის სახელზე. ასლანისაგან წამოსული თუ **“გამოზუნებული”** უშუალოდ დარჩენილი გიორგი თარგამაძე ცხონებულმა ბადრი პატარკაციშვილმა შეიკედლა – ტელეკომპანია **“იმედში”** დაინიშნა საკმარის დიდი ჯამაგებით. აი, ამონარიდი წერილიდან: **“ჩემო ბადრი, გიორგი თარგამაძე შეილივით გაგზარდეს, საკუთარი შეილისთვის არ გამიკეთებია იმდენი სიკეთე, რაც მას გაგუკეთე. გამზადდები ჩემს შემდეგ აჭარაში პირველ კაცად ყოფილიყო, გადაეფევი, კაცად ვაქციე, ამის პასუხად კი მისგან საშინელი ღალატი მივიღე. არ გეგონოს სიბრაზე მალაპარაკებს... კაცურად მინდა გიჩიო, შენც იგივეს გაგიკეთებს, რაც მე გამიკეთა და ფრთხილად იყავი, შენც თხასავით გაგიყდის. მისი ნდობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება”**.

ბატონო ასლან, გულს ნუ გაიტყვით! აკაკი წერეთლის მწარედ ამოკენსილი სიტყვები გაისხენეთ: **“მარტო აღზრდა რას უშველის, თუ ბუნებამ არ უშველა”**.

ბატონ ბადრის ასლანის რჩევა რომ გაეთვალისწინებინა, თავის თავსაც გადაირჩენდა და საქართველოს გადაირჩენდა შექმლო. ეს იცოდა ხელისუფლებამ და ამიტომ დააკისრა თარგამაძეს გამყიდველური მისია, რომელიც **“ხუთიანზე”** შეასრულა და **“იმედში”** გამოსაქვეყნებელი მასალა სპეცსამსახურს გადასცა. ამით გიორგი თარგამაძე პოტენციურ მკვლელად გვევლინება. არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანს ტყვეობა მოჰკლავს თუ აგენტურული ინტრიგებით. გიორგი თარგამაძე რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია, იქიდანაც ჩანს, რომ სააკაშვილმა მომავალ პრეზიდენტად დაასახელა.

ყველანი დავეფიქრეთ! ექსპერიმენტების დრო ამოწურა, ქვეყანა გადასარჩენი. ყბედები ქვეყანას ვერ გადაარჩენენ!

## ნამდვილი ოპოზიციური პარტიების საყურადღებოდ!


როდესაც დედამიწას საფრთხე ემუქრება მეტეორის ან სხვა ციური სხეულის ჩამოვარდნის გამო, მაშინ მთელი მსოფლიო წამსვე ერთიანდება – მტერი და მოყვარე, რათა ერთობლივი ძალებით თავიდან აიცილონ მოსალოდნელი არმაგედონი. ქართველი ხალხისა და საქართველოს **“საარმაგედონე მეტეორიტი”** უკვე თექვსმეტი წელია მიწაზე დაიარება ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე და ამ დროის განმავლობაში მან დიდი უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას. ამიტომაც საჭირო ძალთა გაერთიანება, ერთიანი მოქმედება – მიუხედავად პოზიციით განსხვავებულობისა. ახლა საქმეა გასაკეთებელი – თქვენ რომ გგონიათ, არც ისეა ყველაფერი. უნაითო ხელისუფლებამ ქვეყნის ჯარსა და შინაგან ორგანოებს ფუნქცია დაუკარგა (რაც თვალნათლივ გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოვლენების დროს) და სამშობლოს დასაცავი ძალა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლის ფრონტზე გადართო. ასეთ პირობებში კი არც ისე იოლია ხელისუფლების მონსტრთან შერკინება, მით უმეტეს, რომ ეს უნდა ხდებოდეს მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში.

ჩვენი ცრუ ხელისუფლების გადაძვივ ქართველი ხალხი კი ნამდვილად დაიღალა ამდენი უბედურების ცქერითა და მოსმენით...

როდემდე? გიორგი (გონი) ცაბავა საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი



საზოგადოებრივი საზოგადოებრივი უნივერსალი



პოეტი დათა გულუა  
წელს 25 წლისა  
გახდებოდა

ლექსი ბავშვს უნდა ჰგავდეს – სიწრფელით, სინაღლით, უშუალოდ...  
და თქვენ წარმოიდგინეთ – სიბრძნითაც!

აკი ბრძანებდა მაცხოვარი – ჭეშმარიტება ბავშვების ბავშვებით დალადებო; სიბრძნეს კი საფუძვლად, მოგესხენებათ, ჭეშმარიტება უძველესი.

თვრამეტი წელი სიყმაწვილესთან გამოთხოვების და სიჭაბუკეში შებიჯების ასაკია.

დათა გულუა თვრამეტი წლისა გამოქსალმა წუთისოფელს და ზესთასოფელში ააბიჯა.

დაიდუა ავტოკატასტროფაში ლამის ბავშვი და, ცხადია, არც ბავშვი დაუტოვებია თავის გამგრძელებლად, მაგრამ დაგვიტოვა ლექსები, რომლებიც ბავშვებსა ჰგვანან: მათსავეთ გაუხედნავი და რთული ბუნებისანი არიან (შედარება – “ბავშვივით მარტივი” – უზუსტო მგონია; ჭეშმარიტებასთან უფრო მიახლოებული – “ბავშვივით რთული” – უნდა იყოს).

დათა გულუა ჯერ კიდევ იხდიდა “საგაღმდებლო პოეტურ სამსახურს” – ჯარისკაცისვით ემორჩილებოდა ენის სტიქიონს.

მაგრამ იგი მოწოდებული გახლდათ, ემართა კიდევ სიტყვათა ლაშქარი.

და, მართლაც, დათა გულუა ის-ის იყო იწყებდა უკვე სახელდებული საგნების “გადანათლას”... ანუ – ქმნიდა თავის ახალ სამყაროს... ანუ – იბადებოდა პოეტად.

მაგალითები? ინებეთ:  
რასაც ჩვენ “ცას” ვეძახით, დათა მას “დედა-ცას” არქმევს.

“მიაპობს ქარებს მატარებელი და ვაგონები ლეწავენ ერთურთს...  
დედა-ცამ თითქოს დაკარგა ფერი და გზის სიშორე ქარგავდა ფერსულს”.

და ხდება სასწაული – თითქოს უახლოვდებიან ერთმანეთს “დედა-მიწა” და “დედა-ცა” ანუ – წუთისოფელი და ზესთასოფელი.

სხვა მაგალითი: იმას, რაც კაცს შეიძლება ტკივილით აეგოს, “სული” ჰქვია; ვამბობთ კიდევ, სული ტკივილით ამეგსო. პოეტი დათა იმას, რაც ტკივილით იესება, “მაჯად” გადანათლავს:

“შენი ტკივილით მეგება მაჯა”.

ანდა: ადამიანი, ჩვეულებრივ, წერს წერილს... ან – თხზულებას... ან ლექსს. დათა კი ასე გადანათლავს მას, რაც უნდა დაიწეროს:

“მერე დაჯექი, წამება მერე”...  
ნადდი პოეტები ხომ ყოველთვის სხვისი ტკივილით გაგებულნი მაჯით

წერე წამება  
დათა გულუა

წერენ თავიანთ მიწერ წამებას.  
ამ ჭეშმარიტების გამცხადებელი დათა გულუა თვითონაც ასე წერდა.

და ბავშვის მხერამ ანუ პოეტურმა თვალმა იხილა ის, რასაც ჩვეულებრივი თვალი ვერ ხედავს: ჩვენ ხომ მხოლოდ აწმყოს ვუყურებთ, წარსულსა და მომავალს კი წარმოვიდგენთ მხოლოდ. პოეტი – პირიქით: წარსულსა და მომავალს ხედავს, აწმყოს წარმოსადგენად კი დათა გულუა იტყვის: “დაღეწილი მაქვს თვალის ჭრილში საცქერი მინა”.

მაინც რა დაინახა “ხვალ” დათა გულუამ?

“და თითქოს უცებ განიხვნა ზეცა –  
თორმეტი სხივი ამოძვრა ჭრაქით...  
ჩამოსაგვინეს უცნობი კუბო,  
ჩამოსაგვინეს ფოთლების ჩქამით.  
ჩამოატარეს ჩემს სარკმელსთან  
თეთრ სულარაში მდინარე გვამი;  
რომ მიაგვინეს მზის სარკველებთან,  
მე მხოლოდ მაშინ შევიცანი თავი”...

მაგრამ ამ სულისშემძვრელ ხილვას არ დაუთრგუნავს დათა – ჭაბუკი უსასობასა და დარდს როლი შეეჭმევინა:

“საღამო! მე ვარ, დაგვრუნდი თქვენთან;  
დარდის ბილეთი იმ ქალს მივეცი...  
მოდით, მეწვიეთ ამ სულში, ჩემთან,  
წვიმად კვლავ თქვენთვის ჩუმი ვიქეცი”.

თვრამეტი წლის ჭაბუკის ასე გაწირვამ ბედისაგან, შესაძლოა, გვაფიქრებინოს, ცხოვრების მატარებელმა მას ისე ჩაუქროლა, ზედ შეხტომაც ვერ მოასწრო, მაგრამ თავად დათა გულუა სხვანაირად განსჯის:

“სადგურში ვზივარ ცარიელ ქვაზე  
და ველოდები მომავლის ვაგონს...  
მე კვლავ ვიცანი ის ქალი ხმაზე,  
მაგრამ არ მესმის უკვე, რას ამბობს”...

დათას უკვე აღარც ჩემი ხმა ესმის, მაგრამ მე სხვათა გასაგონად ვამბობ იმას, რასაც, ჩემი აზრით, იტყვის ყველა, ვინც მის სულს ეწვევა ანუ – მის ლექსებს წაიკითხავს: მომავლის ვაგონში შენ შენი ადგილი გაქვს, დათა გულუა; პოეტი და მარადო ბავშვო.

თამაზ კვაჭანტირაძე

სუფსარქისის  
ქართა მისტერია

ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

მორბის სუფსარქისის ქართა მისტერია,  
სული დაემონა მბორგავ ისტერიას...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

უკვდავ გოლიათებს პატივებს აკლდამა,  
ფილტვი ამოვივსეთ, გვაკლდა რა –  
კანტატა.  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

გაბზარულ კუბოში ვხედავ ჩვენს პაპებს –

ამობრუნებულთ, სისხლიან კაბებს...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

ტაძრის სიწუმეში ლოცულობს აბატი  
და სანთლებს ანთებს სიკვდილის  
ნაბადი...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

კოშკებს სდარაჯობს ქარი დატანჯული,  
იქვე საკნებში იხრჩობა რჯული...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

ქვესკნელის ტუფისგან ნაშენი  
სახლები,  
მეფისტოფელის ჭრელი ვასლები...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

სიზმარი მწოდდა, როგორც გურდალაკი,  
და თითქოს გავხდი ოცნების დალაქი...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

ეშმა ამოზრდილა სუროდ სამრეკლოზე,  
შხამთა ჰარმონია აწვევს კენწეროზე...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

აწმყოს პოეზიამ შვა პანთეონები,  
გარდების ომიდან – ეკლესიის ომები...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

მთაწმინდას ხურავს ნისლის ხალათი  
და ალიონი მოდის, ჯაღათი.  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

გამოქვაბულში თვლემენ შუბები,  
ვენით დაკოჭრილი ძარღვის შუბლები.  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

მჯერა, ფხიზლად დგანან დღეს მუზარადები,  
პაერო, ფილტვში ისევ ზარადლები.  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

რატომღაც, ფლიდნი ხატებს გვირჩევნია,  
მორბის სუფსარქისის ქართა მისტერია...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

სარკმელს მიკრობიდან მკვდარი არწივები,  
ყინულს მივეცემი და კვლავ გაგცივლები.  
ზარები დონ...  
ზარები დონ...  
ზარები დონ...

18.02.2003 წელი.

რედაქციის მინაწერი – დათა გულუას ეს ლექსი მართლაც მისტერიაა, რადგან ნაწარმოები “სუფსარქისის ქართა მისტერია” დაწერილია 2003 წლის თებერვალში, ავადსახსენებელი “ვარდების რევოლუციის” სპექტაკლის დადგამამდე ცხრა თვით ადრე. ბრძნულად განსჭვრიტა მისი ასაკისათვის მართლაც უჩვეულოდ ბრძენმა შემოქმედმა ის, რომ “ვარდების ომი ძალიან მაღე ეკლესიის ომში გადაიზრდებოდა”, და მთელი ეს სახელისუფლებო ბაკანალია ძვირად დაუჯდებოდა ქართველ ხალხს. არც ის მიგნება შემთხვევითი, რომ ლექსი გადაფენილია “სურფსარქისის” – ესე იგი სომეხი წმინდანის სახელობის ქარბორბალას საბრძანებელზე, რომელსაც საქართველოში დღეს განასახიერებს მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა. სწორედ ისინი უთხრიან ძირს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, აპირისპირებენ ერთმანეთს მოძვე ხალხებს.  
ასევე მისტიკურია პოეტის შემდეგი სიტყვები, რომელიც წინასწარ ხედავს იმას, რაც მოხდება 2003 წლის შემოდგომაზე:

“არ ვარ პილატე, არც კალიგულა,  
ცეცხლოვან რომს ჰგავს ჩემი ქალაქი,  
ლურჯი ტაძრები ტყვედ გარიყულა  
და გაუშლიათ ბეცებს ბანაკი”.

ჭეშმარიტად გულსატკენია, როცა ესოდენ ნიჭიერ ყმაწვილ კაცზე წარსულ დროში გვიწვევს საუბარი. უფრო მეტად გულსატკენი კი ის არის, რომ დათა გულუა გახლავთ ჩვენი უერთგულესი მეგობრის, მრავალჭირნახული ადამიანის, საქართველოს დიდი პატრიოტის, ცნობილი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ბაკურ გულუას უმრწამის ვაჟი. სხვა რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ნუგეში ვცეთ ჩვენს მეგობარსა და მის ოჯახს და იმით დავამშვიდლოთ, რომ ადამიანი, რომელმაც მიუხედავად ესოდენ პატარა ასაკისა, დიდი სიბოლო და სიყვარული დაუტოვა ქვეყანასა და ხალხს, სამუდამოდ შერჩება ერის მესხიერებას და აუცილებლად სასუფეველში დაიდებს ბინას სამარადქამოდ!

შემთხვევითი არც ის გახლავთ, რომ დათა გულუას შემოქმედებას ადგილი დაუთმეთ 9 მაისის აღსანიშნავ “ილორის” ნომერში. მართლაც საბედისწერო დამთხვევაა, რადგან მეორე მსოფლიო ომში უმთავრესად დათას თანატოლი ქართველი ბიჭები ეცემოდნენ ბრძოლის ველზე. დემეტრა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

# აის ლაპროვის, ან ლავიოვიჩის უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწევრები ვასილ ველიჩკოს  
წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემა ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მილიონი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოშვალა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.



დამნაშავეები არიან არა ცალკეული ადამიანები, რომელთაც ჩვეულებრივ ვერ მოსთხოვ გმირობის ჩადენას და, მკაცრად რომ მივანიშნოთ, არც მხარის ცალკეული ხელმძღვანელები, რომელთაც ჰქმნა მარტივად კეთილშობილური მიხეობი გაანხილავთ, მაგრამ, არ არიან შორსმჭვრეტელები და, რაც ნიშანდობლივია, ვერ ახერხებენ წესიერად და განსაკუთრებით ერთგულ თანამშრომლების თავმოყრას და სამსახურში მიღებას. დამნაშავე კავკასიის მხარის ისტორია, რომელმაც შექმნა განსაკუთრებული სისტემა, განსაკუთრებული ყოფითი ყიდა, რომლის პირობებში რუსული ხელისუფლების უანგარო წარმომადგენელთა ყველაზე კეთილშობილური წამოწყებაც კი მხოლოდ უმნიშვნელო შედეგს იძლევა.

აქ სახეზეა მთელი გორდობის კვანძი. საჭიროა შეჯერდეს მრავალთა ფიქრის შედეგი, გამოყენებულ იქნას მთელი რიგი დაწესებულებების მუშაობა, რომელიც ახსნიდა კავკასიაში რეალური და არაფორმალურ საანგარიშგებო მდგომარეობას, მისი წარმოქმნის ისტორიული მიზეზებს და ეს დაწესებულება აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი საზღუნავისა და ამაოებისაგან, ისევე, როგორც ამისგან თავისუფალია ადგილობრივი ხელისუფლება. აქ ხომ დომინირებს ყანალობა, მიწისძვრები და სხვა სტიქიური უბედურებები, იმის დიდი სურვილი, რომ იმპერიის დედაქალაქში შენარჩუნებულ იქნას მათთვის ხელსაყრელი დაწესებულებები. დრო კი შეუბრალებლად მიიწვევს წინ, მცირე დრო რჩება და ნაკლები სიმშვიდეა იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო ღირებულება გააჩნია.

უბრალო ენით რომ ვთქვათ, საჭიროა სენატის რევიზია, ამასთან, აუცილებელია რომ ეს სენატორი იყოს შტატგარეშე რუსი ადამიანი, რომელიც თავისუფალი იქნება ძლიერი გავლენისაგან, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ზეწოლისა და ფარსისაგან; საჭიროა არა მხოლოდ გულის, არამედ გონების მომცველი პატიოსნებაც.

აღბათ, უფლის ნებით, ეს უბედური მხარე როდისმე ვეღვრება აღნიშნულ სიკეთეს. ჯერჯერობით კი მნიშვნელოვნად იკლო ცინიკური გაფლანგვების რიცხვმა და შენედა იმ უკმეხი ადამიანების თავხედობა, რომლებიც თავს უფლებას აძლევდნენ, რომ სიტყვა „რუსი“ დამცინიკოვებდა და ამით წარმოეთქვათ, რაც აუტანელი შეურაცხყოფაა ჩვენთვის.

ოილი წარმოსადგენია, თუ როგორი ცინიზმით ეყრდნობიან სომეხი პოლიტიკანები სხვა ერების წარმომადგენლებს. რამდენიმე წლის წინ კახეთის ქალაქ სიღნაღში მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

ოილი წარმოსადგენია, თუ როგორი ცინიზმით ეყრდნობიან სომეხი პოლიტიკანები სხვა ერების წარმომადგენლებს. რამდენიმე წლის წინ კახეთის ქალაქ სიღნაღში მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

ოილი წარმოსადგენია, თუ როგორი ცინიზმით ეყრდნობიან სომეხი პოლიტიკანები სხვა ერების წარმომადგენლებს. რამდენიმე წლის წინ კახეთის ქალაქ სიღნაღში მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

ოილი წარმოსადგენია, თუ როგორი ცინიზმით ეყრდნობიან სომეხი პოლიტიკანები სხვა ერების წარმომადგენლებს. რამდენიმე წლის წინ კახეთის ქალაქ სიღნაღში მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

ოილი წარმოსადგენია, თუ როგორი ცინიზმით ეყრდნობიან სომეხი პოლიტიკანები სხვა ერების წარმომადგენლებს. რამდენიმე წლის წინ კახეთის ქალაქ სიღნაღში მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ. მართლმადიდებლები დღესასწაულს აღნიშნავდნენ.



### ვაბრძელები ნაწყვეტების ბეჭდვას პროფესორ კლიმენტი შელიას წიგნიდან "კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე"

ცინიზმით მოუქცნენ მათ გვამებს...  
ორი უმძიმესი წლის განმავლობაში  
სამეგრელოში, ალბათ, არ დარჩენილა  
ქალაქი, რაიონული ცენტრი, სოფელი,  
რომელსაც აწიოკება, ძარცვა, რბევა არ  
განუცდია.

თამაზ ფიფიას ნაწმომიდან მოგვყავს  
კიდევ ერთი მაგალითი იმ დანაშაულის  
შესახებ, რომელიც კარგად არის ცნობილი  
წალენჯიხელებისა და იმ მხარის  
მოსახლეობისათვის: "წალენჯიხის მაცხ-  
ოვრის ფერისცვალების ეკლესიის  
წინამძღვარმა მამა რომანოზმა წალენ-  
ჯიხის ცნობილი ტრაგედიის დღეებში  
(1992 წლის ივლისი), საკუთარი მოწამო-  
ბრივი თავგადასავლის შესახებ "წალენ-  
ჯიხის ზარების" რედაქციის თხოვნით, დაწ-  
ერა 1993 წლის მარტში, რომელიც მაშინვე  
გამოქვეყნდა. ხოლო შემდეგ სამეგრელოში  
დატრიალებული ცოდვის კალოს სხვა  
მასალებთან ერთად დაიბეჭდა ჟურნალ  
"აია"-ში.

ავტორი აგრძელებს: "სრულიად  
უდანაშაულო, დიდად კეთილშობილი,  
ღირსეული სასულიერო მოღვაწე მამა რო-  
მანოზი 5 დღის განმავლობაში განიცდი-  
და სიკვდილით დასჯის განუწყვეტელ  
მუქარას და რეალური საფრთხის ზემო-  
ქმედებას. შეიძვერ დასახვერტად გაიყ-  
ვანეს, ერთხელ ხმლით უპირებდნენ აკუწ-  
ვას, ერთხელაც ვერტმფრენიდან აგდებდ-  
ნენ, - აწამებდნენ მეუღლისა და  
მცირეწლოვანი შვილების დახოცვის  
მუქარით თუ იმიტაციით. - 19 დღე საპა-  
ტიმროში იყო სრული განუკითხობის  
პირობებში.

მამა რომანოზს ყოველივე ამან, უთუოდ,  
შემოკლა სიცოცხლის დღეები და უფრო

გვიან... გულის შეტევით აღესრულა 53  
წლის ასაკში.

მიუხედავად იმისა, რომ მამა რომანოზ-  
მა მრავალჯერ ჩახედა სიკვდილს თვალე-  
ბში, ჯალათებმა ვერ გატყვეს მისი ნებისყ-  
ოფა. ის ღონემიხდილი, დინჯად, დამარ-  
ცვლით პასუხობდა: "უფალი დიდა, ის ყვე-  
ლაფერს ხედავს, ყველას გახლეჩენით ამ-  
დენი უდანაშაულო ადამიანის ტანჯვა-  
წამებისათვის, წმინდა სისხლისათვის".  
ეკზეკუციის ერთ-ერთმა მონაწილემ,  
რომელსაც "ჯუჯას" ეძახდნენ უთხრა  
თავის "მეგობრებს": "ეს სულბადლი ღვთის  
მსახურია, მისი სული, მისი წყველა  
საშინაოა. ის დიდხანს მაინც ვერ იცხ-  
ოვრებს, ნუ დაგხვერტო, სამაგიეროდ სხვა-  
ბი დაგხვერტო, თუ რამდენს დაგხვერტო,  
ამის ანგარიშს არავის ვაბარებთ". ასე  
"თამაშობდნენ" ადამიანის ბეღზე...

"...წალენჯიხის ტრაგედია შევარდნაძის  
რეჟიმის მიერ სამეგრელოში დატრიალე-  
ბული ცოდვის კალოს კულმინაციაა, -  
წერს თ. ფიფია, - როცა სრულად გამოჩ-  
ნდა საკუთარი ერის წინააღმდეგ მებრძოლ  
უზურპატორთა რაობა... 1992 წლის 6  
ივლისს ცემა და შეურაცხყოფა არ აკ-  
მარეს რჩეულ პიროვნებას სერგო ჟვანიას  
და სახლ-კარი გადაუწვეს, რადგან მისი  
შვილი სოსო პრეფექტის მოადგილე იყო...  
მისი სიძე (ქალიშვილის ქმარი), სკოლის  
სასწავლო ნაწილის გამგე მანქანაში  
ჩაცხრილეს. მომხდურნი წალენჯიხის  
თითქმის 800-მდე ოჯახს "ესტუმრნენ" და  
უმეტესობა გაძარცვეს, შეურაცხვეს, ცემეს  
და ტყვეით დატყვეს ბევრი ადამიანი...  
მომხდურთა ძალადობას შეეწირნენ გი-  
განტი დეგუბაძე, სულხან სარია, წალენ-  
ჯიხის-სკურის გზაზე ვერტმფრენიდან ნა-

როლი ტყვეით მოკლეს საქართველოს  
პირველი პრეზიდენტის პირადი მდივანი  
ლალი მაისურაძე. ბოროტმოქმედთა ტყვე-  
ით დაიღუპა 18 წლის ჯონი შანაგა... 10  
ნოემბერს სოფელ ლეჯოლიხეში მხედრი-  
ონელებმა ერთი ოჯახის ძარცვის დროს  
მოკლეს სტუმარი სოფელ ჯგალადან -  
გულადი კვარაცხელია, ასევე 15 წლის  
წალენჯიხელი ლევან ქირია, საჩინოელი, 8  
შვილის მამა, რაულ გვალაია. სამსახურე-  
ობრივი მოვალეობის შესრულების დროს  
დახოცეს შს განყოფილების სამი მუშაკი,  
მათ შორის განყოფილების უფროსი გოგი  
კალანდია და მასთან მეოფი ბიზნესმენი  
რეზო ხარხილაია..."

საქართველოს ხელისუფლებას თავგ-  
ამოღებით არავისთან არ უოშია - არც  
აფხაზეთში და არც ე.წ. სამხრეთ ოსეთ-  
ში - მათ მხოლოდ სამეგრელო  
დალაშქრეს მთელი მონდომებით.  
"საქართველომ უნდა იცოდეს, - წერდა  
მამინ გაზეთი "ასავალ-დასავალში" ჟურ-  
ნალისტი დიეტო ჩუბინიძე, - სამეგრელოში,  
ხეივანის ოჯახში როგორ შევარდნენ შე-  
ვარდნაძის "ოპრინიკები", როგორ შეაგდეს  
ოჯახის მამა საწოლქვეშ და ავტომობილები  
მიუშვირეს, როგორ გააუპატიურეს  
საწოლზე ოჯახის დედა, მერე უბედურ მა-  
მას აყურებინეს, თუ როგორ აცხოვრეს  
მისი 16 წლის ვაჟი 15 წლის დასთან და  
წაიღინეს... გულშემოყრილმა მამამ  
საფლავი გათხარა, შვილები დახოცა, თეი-  
თონაც მოისწრაფა სიცოცხლე და  
შვილებს გადაემხრო სამარეში." წერილი  
შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა "ხალხი  
ბრძენია, სწორედ ეს ხალხი აგებინებს პა-  
სუხს საქართველოს დამაქცევარს ჩვენი  
ქვეყნის იავარქმის გამო".

## პოზიციის პოზიციის პოზიციის პოზიციის პოზიციის პოზიციის პოზიციის

# უარი ნატო-ს! მივბაძოთ ნეიტრალიზაციის ფინურ პარიანსს!

ნატო - ჩრდილო ატლანტიკის  
ხელშეკრულების ორგანიზაცია -  
ამერიკის შეერთებული შტატების  
ინიციატივით ჩამოყალიბდა და  
1949 წლის 4 აპრილს დაკანონდა.  
ნატო-ს ორგანიზაციის დამ-  
ფუძნებელი ქვეყნებია: აშშ, კანადა,  
დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი,  
იტალია, ბელგია, ჰოლანდია,  
ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ის-  
ლანდია, პორტუგალია. მათ 1952  
წელს თურქეთი და საბერძნეთი  
შეუერთდა; 1955 წელს - გერმანი-  
ის ფედერაციული რესპუბლიკა;  
1982 წელს - ესპანეთი; 1999 წლი-  
დან ნატო-ს ევროპის სამი ქვეყანა  
მიემატა, ხოლო 2004 წელს - შვი-  
დი; დღეისათვის იგი ოცდაექვს  
ქვეყანას აერთიანებს.

თავის დროზე, როგორც სამხედრო-  
პოლიტიკური ბლოკი, იგი სსრ კავშირის  
და სხვა სოციალისტური ქვეყნების  
წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც მისი  
დამფუძნებლები არც მაღაგრდნენ.  
ნატო-ს შექმნას წინ უძღოდა სამხედრო-  
პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა  
ქმედებები, კერძოდ: აშშ-ს მიერ ატომური  
ბომბების ავთოქება იაპონიაში; ტრუმენ-  
დადგენის ვერაგული დოქტრინები; უ. ჩერ-  
ჩილის სიტყვა-მოწოდება 1946 წლის მარტ-  
ში; აშშ-ს სახელმწიფო მდივნის -  
მარშალის გეგმა ომის შემდგომი ევროპის  
დაკავალებისათვის და ა.შ.

თავდაპირველად სსრ კავშირი და აღ-  
მოსავლეთ ევროპის სოციალისტური  
ქვეყნები თავს იკავებდნენ საპირისპირო  
სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმ-  
ნისაგან; მეტიც, 1954 წლის 31 მარტის

ნოტით სსრ კავშირმა გააკეთა განცხადება:  
თუ ნატო მართლაც მშვიდობისმოყვარეა,  
სსრკ მზადაა მასში გასაერთიანებლად. ეს  
განცხადება მეხის გავარდნა იყო ნატო-ს  
ბანაჟში. გაუხედავად, მაგრამ სსრ კავშირს  
უარი უთხრეს. ამდენად, საბჭოთა ნოტამ  
ნატო-ს ნამდვილ ზრახვებს მსოფლიოს  
წინაშე დიდებული ლუსტრაცია მოუწყო.  
მხოლოდ ამის შემდეგ, 1955 წლის მაისში,  
სსრ კავშირმა ევროპის სოციალისტურ  
ქვეყნებთან ერთად შექმნა ნატო-ს საპირ-  
წონე ბლოკი ვარშავის ხელშეკრულების  
სახით.

1991 წლის დეკემბერში სსრ კავშირი  
დაიშალა. ცოტა ადრე ვარშავის  
ხელშეკრულებაც გაუქმდა. პირობის  
თანახმად, ნატო-ც უნდა დაშლილიყო, მა-  
გრამ ამერიკამ ეს არ ინება. უფრო მეტიც,  
მან იწყო ნატო-ს გაფართოება აღ-  
მოსავლეთისაკენ, ახლა უკვე რუსეთის  
ფედერაციის დაშლის მიხნით.

ნატო დღეს აშშ-ის ხელში მსოფლიოს  
გლობალიზების - „ახალი წესრიგის“ დამ-  
ყარების იარაღია. აშშ მზადაა, დასაჯოს  
ყველა, ვინც მისთვის სასურველ პოლიტიკურ  
დინებას დაუპირისპირდება. აქი, დაისაჯნენ  
კიდევ: ზ. გამსახურდია - საქართველოში,  
ს. მილოშევიჩი - იუგოსლავიაში, სადამ ჰუ-  
სეინი - ერაყში და ა.შ.

ნატო-ს „საქმენი საგმირონი“  
განსაკუთრებული სისასტიკით 1999 წლის  
გაზაფხულზე იუგოსლავიაში გამოვლინ-  
და, რომელიც მამინ თავდადებით ებრძო-  
და საკუთარი მიწა-წყლის (კოსოვოს)  
შენარჩუნებისათვის აშშ-ის მიერ  
შეიარაღებულ ალბანელ სეპარატისტებს.

ნატო-ს გაერთიანებულმა ძალებმა ულ-  
მობლად დაბომბეს იუგოსლავიის ქალაქე-  
ბი, დაანგრეს საცხოვრებელი სახლები, ეკ-  
ლესიები, სკოლები, ამოწვეტიეს ათასზე  
მეტი მშვიდობიანი მოსახლე. მათი ვერ-  
აგობა ვერც აღდგომის დღესასწაულმა  
შეაჩერა - დაბომბვები კვლავაც გრძელდუ-

ბოდა. აშშ-მა წაგლიჯა რა იუგოსლავიას  
კოსოვო, სურვილი აისრულა - ააგო იქ  
ევროპაში ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა  
შვიდი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახ-  
ურისთვის.

დღეს ნატო გაეროს და იხეთი გაერ-  
თანებების გვერდით, როგორცაა ვეროს-  
აბჭო, ევროკავშირი და სხვები, საერთა-  
შორისო პოლიტიკის ზედმეტი ბარგია. იგი  
კიბოს დაავადებას დაემსგავსა, რომლის  
მეტასტაზები სულ უფრო მეტად იჭრება  
რუსეთის საზღვრებისაკენ და უკიდურესად  
აღიზიანებს არა მარტო მას, არამედ  
მრავალ სხვა ქვეყანასაც. ნატო-ს დაშლას  
საერთაშორისო საზოგადოებრიობა  
მიესალმება, შვევით ამოისუნთქავს.

მეგანისაგან ხშირად გვემისი: რატომ  
გვიშლის ხელს რუსეთი, თვითონაც გაერ-  
თანდღეს ნატო-ში. ასეთ „მეგანებს“  
ვურჩევთ, წაიკითხონ ამერიკელი პოლი-  
ტოლოგის, პრეზიდენტის მრჩეველის - ზ.  
ბუჟინსკის წიგნი „დიდი საჭადრაკო  
დაფა“ და გაიგებენ, რომ რუსეთის ადგ-  
ილი ნატო-ში არ არის, რადგან ამ  
შემთხვევაში ნატო თავის ძირითად მიზან-  
დანიშნულებას დაკარგავს. რუსეთი თავის  
საზღვრებთან ნატო-ს მიახლოებით  
გადიზიანებულია, იგი არ დაუშვებს  
უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში  
გაერთიანებას.

ქართველ „ნატოელებს“ ვერ შეუვნიათ, თუ  
რატომ აძლიერებს რუსეთი აშშ-ის გლობ-  
ალისტური პოლიტიკის საპირწონე  
წიადსელებს ჩვენს კუთვნილ აფხაზეთ-ცხ-  
ინგლის რეგიონებში. მათ ვუსვამთ კითხვას:  
როგორ რეაქციას მოახდენდა აშშ, რუსეთს  
რომ შეექმნა ნატო-ს საპირწონე სამხედრო  
ბლოკი მექსიკის, ნიკარაგუის, კუბისა და აშშ-  
ის სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად?

პოლიტიკურ ძალებს - პოზიციას თუ  
ოპოზიციას - რომლებიც საქართველოს  
ნატოსკენ ეწევიან, ეროვნული ინტერესების  
მტრებად ვთვლით, რამეთუ სამხრეთ

კავკასიის გეოსიფრცე რუსეთ-ირანის სამე-  
ზობლო პირობებში ამას ლოგიკურად  
გამორიცხავს.

დღესათუ ნათელია, აშშ ერაყში რომ არ  
შეჭრილიყო; აფხაზეთში რომ არ დაე-  
ბომბა იუგოსლავია, არ წაერთმია კოსოვო  
და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ გა-  
მოეცხადებინა; ნატო რომ არ მიახლოე-  
ბოდა რუსეთის საზღვრებს; საქართველოს  
ხელისუფალით და ვაიოპოზიციას „ნატოს  
მინდას“ გაუთავებელი ძახილისაგან თავი  
რომ შეეკავებინათ; და ბოლოს, სააკაშვილს  
7-8 აგვისტოს ცხინვალის მოვლენებით არ  
დაევივრვივინებინა, მამინ რუსეთის მხრიდან  
საპირისპირო ქმედებები და ესოდენ  
ძლიერი აგრესიაც არ იქნებოდა.

ცხადია, აშშ-რუსეთის ჭიდილში სა-  
ქართველო თავისი გეოპოლიტიკური სიბრ-  
მავის გამო სასტიკად დაისაჯა - საკუ-  
თარი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი  
დაკარგა, ასიათასობით ლტოლვილთა  
ქვეყნად იქცა და საკუთარი შვილების სი-  
ცოცხლევ გაწირა.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართვე-  
ლოს შანსი აქვს, კატასტროფას თავი და-  
აღწიოს, ამისათვის კონსტიტუციაში უნდა  
შეიტანოს მუხლი: „გეოპოლიტიკური სიფრ-  
ცის კარნახით საქართველო ნატო-ში გა-  
ერთიანებაზე უარს ამბობს; მის ტერიტო-  
რიაზე დაუშვებელია უცხო ქვეყნების  
სამხედრო ბაზების განლაგება“. მხოლოდ  
ამის შემდეგ დაველაპარაკებთ რუსეთს  
და დაკარგული მიწების ბელს ჩვენს სა-  
სარგებლოდ შემოვბარუნებთ.

მაშ, უარი ნატო-ს! მივბაძოთ  
ნეიტრალიტეტის ფინურ ვარიანტს!

გივი გურუშიძე  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პოლიტოლოგი  
ნუგზარ ავალიანი  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პოლიტოლოგი

### ხსოვნის სტრიქონები

ნაწევრებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან “ბულათია”, რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეძე მე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ “ილორში”. 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამხარო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

### დანიელ ფიფია

თე ბორც სატარიელოს რდგ ართი გაზაფხუში სქუა, ირი დიხას ცქვაფილირდ იში კონანა დო ჭკუა; ბრელი ველაზიმუდეს ქაცა-ქუცა კონოსქუა, ჯგირი გაზაფხი ვოხოლვდეს ართი სიტყვათი თაში ფოქუა. ბულათია ფიფიარდ ქომოლი უშქურანჯი თინ, ხვალე თენარდ სვერეხის მიშათი მუთაქ მუკადვინ, მუზმა ეცად დო ისოფუ ბრელი ხანც მუთაქ მუკადვინ; ეშმაკური ვასხუნუნი ეიშა გურქ ვამუთვინგ. ბულათიას ვარყა ყუნდუ უყორდ მუჭო დუდინი თეში, ირო თისგ გაჯინვდ აფუდ ნარდი მუში ხეში. ულაყაფუდუ ჩიქვ შორო, წიმინდანდ დო ბონგნდ ცხენით აფუდუ მერჩქანელი მუჭო კონინი თეშო ინდვდგ. სვერეხის ბრელი ხანი რე გური აფუდუ თე ვარყაშა, მარა უჩქუდვ ვაშიდვინი მუჭო ვემიანტუდუ ცაშა, ბულათიაშა ველოდუდ მუთი უდოლაძე შევაშა. ასე მუთი ოკოდინი ერსულდ გეყვინგ, ბულათიაში სქეამი ვარყა პატგინი სკუას ქუშუყონ, ოყოროფუ რჩინ მორდუ ვოუბანდვ, ვოულახვ ვალოლაძუნი ფერი დოლგ საონჯლოროთ ვაბახვ. ასე ფიქრენც მუთუნფერო საქმე თეში მანწყუასი, ვარყა ხეშა ქიშუასი, ჭკადვთი ვაშინდურუასი

### ბულათია

ამ დროს სატარიელოში მეტად სახელდებულად, ერთი გლეხის აზრი, ჭკუა ყველგან იყო ქებულად. ყველგან ასე ისმოდა: “დიდებული ვაჟაკაცია” მასზე ასე ითქმებოდა. და ეს არის ბულათია, ფიფია კაცი სწორი, რა ხანია ვერასა ვნებს სვერეხიას მონაჯორი. ბოლოს ცდა და ბიებისგან ვერაგული ხერხი უჩანს, სანამ ბულას ვერა ანო გული ვეღარ დაიყუნა. ბულათიას ჰყავდა ვარყა უშიშარი და თან ფრთხილი, იგი იყო საიმედოდ მისი ხელით გამოზრდილი. წმინდა, ბანდა თანისთანად არ აკლებდა მას ფერებას, როგორც კაცსა ენდობოდა, ულაყი მას უჯერებდა. დიდი ხნიდან სვერეხიას ცხენი გულში ჩაუვარდა, მაგრამ ისიც კი იცოდა ვერ მიაწვდენს ხელებს ცადა, რაც რომ სხვაზე მოუსინჯავს ბულათიას ვერ უზამდა. ბოლოს მანც რაც უნდოდა ვერაგულად გაიყვანა, ბულათიას ის ულაყი ბატონიშვილს მიუყვანა. ბულათიას გამზრდელი კი აუტირა შეუძრახა, უკადრისი რამ აკადრა სამარცხენოდ გაულახა. ახლა იმის ფიქრებშია საქმე ისე ჩამოზურს ეს ულაყი ხელში იგდოს, არც მჭედელი მოიმდურის.

გურიელხეს გაეღვიბა, ჩრდილში რბილი სკამი უდგას. ბულათიაც გამოცხადდა იქვე ახლოს და წარუდგა. ქუდის მოხდით დაიჩოქა, მკერდზე ხელედაწყობილად მოახსენა სათხოვარი მორიდებით, კრძალუვლად: “ეისაც თქვენი მადლი ეცხოს სამოთხეში ელის ღებენა. ცეცხლია და დამდაგველი თქვენი წყრომა, მწარე ენა. კაცსა ვისაც გაუწყრებით, დაიტიროს თავი უნდა. მე, ბატონო, იგი მიკვირს კარგის თვალთ მიყურებდით, მეც ხალისით, მონდომებით, ერთგულებით გამსახურებდით. და არ ვიცი რა შეგცოდეთ, რა დაგმართეთ, რა გაწყინეთ.

# მ ა ფ ა ლ უ

## მცდარი აზრები “მაფალუს”, სტეფანე გაგუას და მიხეილ კანკავას შესახებ

1. ამონარიდი “მეგრული ხალხის მშობლიური ენის მოყვარე ზუგდიდის მცხოვრებლების” გრიშა ახალაიას, ალიკო კვარაცხელიას, ბაგრატ ხუფენიას, მარაზი ხუბუტიას და ილია ჯინჯოლაგას მიერ 1925 წლის 30 მარტის თარიღით სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილი “ქვეშემდგომული შუამდგომლობიდან”

“მშობლიური თავისუფალი ენისა და ლიტერატურის შექმნას დიდი ხანია მიესწრაფოდნენ ჩვენი წინაპრები... დაბოლოს, 1919 წელს თავისუფალი მშობლიური ენის საშუალებით ხალხში წერაკითხვის საყოველთაო გავრცელების შესახებ საკუთარი აზრი გამოთქმული იქნა ქალაქ ფოთის გიმნაზიის დირექტორის და მისი ამხანაგების მეთაურებით, მაგრამ იმ დროს არსებულმა კადნიერმა, მოღალატურმა მენშევიკურმა ხელისუფლებამ, ხალხის და წრის ამ სამართლიან მიწრაფებას უპასუხა დაპატიმრების და ლამის მხარის გასახლების მკაცრი ზომებით. იმპერიალისტურ-მენშევიკური მთავრობის ასეთი დევნის შედეგად ლიკვიდირებული იქნა ხალხის დაუოკებელი სურვილი სამეგრელოში მშობლიურ ენაზე წერაკითხვის საყოველთაო გავრცელების შესახებ, რომლის მსხვერპლიც კინადამ გახდა ამხ გაგუა და სხვა”

წყარო: ხელნაწერების ასლი.

კომენტარი: ზუგდიდელი კომუნისტებისა და უპარტიოების ე.წ. “მეგრული ხალხის მშობლიური ენის მოყვარეთა” წერილის მიხედვით სტ. გაგუას და მისი წრის წევრ ამხანაგებს ყალბად მიაწერენ “თავისუფალი მეგრული ენისა და ლიტერატურის შექმნას”, ანუ შექმნასა და საყოველთაო ცოდნის თუ წერაკითხვის საყოველთაო გავრცელების შესახებ აზრის გამოთქმას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში თავს იჩენს სტ. გაგუას და მაფალუს ჭორების შესახებ ყალბი მაგალითით საკუთარი აზრის არგუმენტირებისა და თავიანთი მიწრაფების მიზნის ასახვა-გამართლება. როგორც ვხედავთ, გამართლდა შვიდი მოსამართლის ხელმოწერით გამოქვეყნებული “სამედიატორო სასამართლოს განაჩენში” გამოთქმული შიში, რომ “მეგრული ჯგუფის დაარსებამ და მათ გარშემო ამტყდარმა სამწუხარო მითქმა-მოთქმა შექმნა ისეთი ნიადაგი, რომელშიაც ადვილად შეიძლება გამოთქველმა აზრებმა ფესვი გაიდგას და დაჰბადოს წარ-

მოდგენა, თითქოს მეგრელები ცალკე ხალხს წარმოადგენდნენ დანარჩენი ქართველებისაგან. ამისთანა ნიადაგს შეუძლია მოიზიდოს სხვადასხვა ჯგუფის ავანტიურისტები სათარეშოდ და თავიანთ ბნელ საქმეების გამოსაწყოებად”. აი, სწორედ ამ გულსაკლავმა პერსპექტივამ იჩინა თავი გრ. ახალაიას და სხვა თანამოაზრეთა მიერ სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მიმართ 1925 წლის 30 მარტით დათარიღებულ წერილში, რომელიც მათი სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური დევნის მიზეზ-საბაბი გახდა. 1925 წელს გრ. ახალაიას და მის თანამოაზრეებს “მაფალულები” უწოდეს, რაც არასწორი და, როგორც მომდევნო წიგნში გამოწველივით გავეცნობით, მიზნობრივია. უფრო სწორი იქნება, ამას ეწოდოს სეპარატისტები და “ე.წ. მაფალულები”. ამიტომ მათ მეექვსეტიმისტი ავტონომისტებს, სეპარატისტებს და “ე.წ. მაფალულებს” ვარქმევ.

2. ფედერალისტ აკ. კობახიძისა და სოციალ-დემოკრატ (მენშევიკ) შ. ჩოჩიას აზრი 1925 წელს პირველმა გამოიყენა კომუნისტმა ბესარიონ შოგირაძემ.

“მაფალუ”... ეს არის აშორდია-გაგუების ავანტიურისტული ჯგუფი, რომელსაც მეთაურობენ იანოვსკი-ვოსტორგოვები... ეს ჯგუფი ქადაგებდა საქართველოდან სამეგრელოს ჩამოშორების იდეას, თითქოს მისი აღორძინების მიზნით, ნამდვილად კი იმისათვის, რომ გაეტარებინა თვითმპყრობელობის რეაქციონური იდეა – “დაქსაქვე და იბატონე”. მოკლედ რომ ვთქვათ, “მაფალუ” არის უცხო სახელმწიფოს განყოფილება, მისი მემკვიდრეები კი ამჟამად ზუგდიდში არიან ბუკონია, ბახილია (ბესელია – გ.ც.), ახალაია და მძანი მათნი... “არაგის არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ სამეგრელოს მუშებს, გლეხობას და ინტელიგენციას დაესვას საკითხი იმის შესახებ, რომ მეგრელები ცალკე ერია და, ამიტომ, საჭიროა მათი დამოუკიდებელი არსებობა. ეს ჩვენ პირველად გავიგონეთ აშორდია-გაგუას მემკვიდრეებისაგან”...

წყარო: ბ. შოგირაძე, ახალი აღმოჩენა, გაზ. “კომუნისტი”, 1925 წლის 17 სექტემბერი.

კომენტარი: მეგრელები ქართველებისაგან დამოუკიდებელი ცალკე ერია, ქართველებისაგან დამოუკიდებელი მეგრული ენით, ამას ადრე ამბობდნენ ცარიზმის ჩინოვნიკები იანოვსკი, ლევიცი, ვოსტორგოვი და სხვები. მაგრამ მათზე სტ. გაგუას და “მაფალუს” მიზმა იმას მოწმობს, რომ ხელისუფლებამ ჩსოუმიველ

ავტონომისტ-კომუნისტებს, რომლებიც თვითონვე გამოზარდა “წინამორბედი” სტ. გაგუას და “მაფალუს” სახით, ეს ყალბად შეუთითხნა. აბა, თვითონ ხომ არ დაიბრალვებდა?! დაბეჯითებით მიმანია, რომ ბ. შოგირაძემ თავისი “აღმოჩენა” და ეს აბსურდული აზრი დავალებით გამოთქვა. ამ გამოთქმებით ასე გამოდის: “მე ვამბობ, საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ჩსოუმიველ კომუნისტებს შორის ავტონომისტური და სეპარატისტული ხასიათის მოთხოვნების წამოყენების გამო აბსოლუტურად უდანაშაულოა, ეს სტეფანე გაგუას და მაფალულების მემკვიდრეობის რენიმაციის ბრალია და თქვენ უნდა დაიჯეროთ”. არავინ იყო ამ აზრის გამამტყუნებელი. ასე იყო “საჭირო” და იმიტომ... ვ. შოგირაძის “აღმოჩენა” მართალი რომ ყოფილიყო, მას უფრო ადრე გამოქვეყნებულ თავიანთ წერილებში აღნიშნავდნენ ალექსანდრე (საშა გეგეჭკორი) (8.IX.1925), ლავრენტი ბერია (13.IX.1925), ი. ჟვანია (15.IX.1925), დიომიდე თოფურია (15.IX.1925), ან მიხეილ კვარაცხელია (16.IX.1925). “აღმოჩენა” ბ. შოგირაძემ რომ იკისრა, ჩემი აზრით, ეს გამოწვეული იყო ამ ზუგდიდელი კომუნისტის იმ პარტიულ-პოლიტიკური ვალდებულებებით, რომ რუსიფიკატორებთან დამაკავშირებელი ჯაჭვის ყალბი რგოლის (“მაფალუს”) სახით წარმოეჩინა “განტყვევის ვაცი”.


3. ფედერალისტ აკ. კობახიძის, მენშევიკ შ. ჩოჩიას და ბოლშევიკ ბ. შოგირაძის აზრი 1925 წელს თავისებურად წარმოაჩინა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და ყოფილმა ფედერალისტმა თედო სახოკიამ

“...1918 წელს ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის გამგრძობნი, როგორც მოხალისენი. მაგრამ ყველას ბაღღა ლაღობად მიგვანდა მათი ცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევი, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებ მოველოდით ასეთი ავანტიურის გადვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება”...

წყარო: თედო სახოკია, “თქვენ რაღას მისდევთ”, გაზეთი “კომუნისტი”, 1925 წლის 25 სექტემბერი, ხობის რაიონული გაზეთი, 1933 წელი, №6,7, გაზეთი “კომუნისტი”, 1992 წლის 12 სექტემბერი



# სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

1855 წლის დამდეგს დედოფალმა თეოფანე ჭყონდიდელისაგან ჯერ თანხმობა აიღო და მთელი საქმე მიანდო თავის მახლს კონსტანტინეს, როგორც ბოქაულთუხუცესს. კონსტანტინე სუჯუნაში ჩამოვიდა და უკვე აპირებდა სასწაულმოქმედი ხატი წმ. გიორგისა მარტვილში დაესვენებინა. მაგრამ ბატონიშვილებს გიორგის, პეტრეს და ბესარიონს არ ეძინათ, თავისი კაცები საჭყონდიდლოში გაგზავნეს და იქაურებს შეუთვალეს, თუ რა ონის უმზადებდა კონსტანტინე ამან ერთბაშით ფეხზე დააყენა ყველანი და კონსტანტინეს სუჯუნაში ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ იგი უკან მოუხედველად უნდა გასცლიდა იქაურობას, თუ უნდოდა თავი ცოცხალი შერჩენოდა. მისი მხლებლები კი კარგათ სცემეს.

ამას შემდეგ ეს საქმე ძალაუნებურათ უფრო მარჯვე დროისთვის უნდა გადაედო, მანამდე კი წინააღმდეგობის ერთ-ერთი მთავარი დამწვებელი, საეკლესიო აზნაურის მეთოდი ხომარია, ჯაჭვით დააბეს ლენხუმში, მურის ციხეში, ხოლო მისი ძმა, ბერი ივანე ანუ, როგორც ებახდენ, ივანე მცხეთის მონასტერში გაგზავნეს დასამწყვდეად, სადაც მალე მოკვდა კიდევაც. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა საეკლესიო აზნაურები და გლეხები მეტად აღაშფოთა დედოფლის წინააღმდეგ და თუმცა საერთო აჯანყებას საეკლესიო მამულის გლეხები არ მიმხრობიან, მაგრამ როგორც ამ გლეხების, ისე საეკლესიო აზნაურების იმედი დედოფალს არამც თუ არ უნდა ჰქონოდა, არამედ იცოდა ისიც, რომ ესენი ისე არასფერსა ნატრობდენ, როგორც მთავრის მართვა-გამგეობის გაუქმებას.

აი რამდენი ძლიერი და მტრული ჯგუფები ედგა დედოფალს თვალწინ და სად-და უნდა ექებნა მომხრეები მათს წინააღმდეგ?

თავისი უფროსი მახლი გრიგოლი, რომლის შესახებ ჩვენ უკვე საკმაო ვილაპარაკეთ, დედოფალს არამც თუ თავის პირად მტრად მიანდა, არამედ მთელის თავის ოჯახის მტრად სახავდა. მას სულ თან დასდევდა კუდივით მთელი ბრბო თავად ფადავებისა და ტაია დადიანის ოჯახი, სადაც გრიგოლი ძუძუნაწოვები და პატარაობაში აღზრდილი იყო. მისი უმცროსი მახლი კონსტანტინე, ბოქაულთუხუცესი, მართალია, მისი და მისი ბავშვების ერთგული იყო, მაგრამ გარს ეხვია ერთი მუჭა ფუქსავატი ხალხისა, რომელმაც იცოდა მხოლოდ დროს გატარება, ქეიფი და ნადირობა, და კონსტანტინე თავისი საზოგადოებრივი გავლენით იმდენათვე უძღვრებოდა იყო, როგორც მისი გარემომცვენი. რჩებოდა მხოლოდ ერთი მრავალრიცხოვანი გვაროვნობა თავადებისა და აზნაურების ჩიქოვანებისა, რომლებიც მთავარმა დავით-

მა თავის ერთადერთ აგენტებად გადააქცია და მათ ჰქონდათ ჩაბარებული როგორც ადმინისტრაცია და სასამართლო, ისე მთავრის საუფლისწულო მამულების მართვა-გამგეობა. მაგრამ ჩიქოვანებს, ძალიან გულთაც რომ სდომოდათ, განა შეეძლოთ საერთო სურვილის წინააღმდეგ წასულიყვნენ, ყველას გამკლავებოდნენ და აუღვანებდნენ თითქმის მიღობა აჯანყებულ გლეხობა? ჩიქოვანები ყველა კლასსა სძულდა, ამას თვითონაცა პგრძნობდენ და მთავრის გარშემო თავი მოიყარეს, როგორც ნაკლებსაიმედო ტანისმცველებმა.

როცა მთელი ეს ნამდვილი სურათი იმდროინდელი მდგომარეობისა სრულიად მკაფიოდ თვალწინ გამოეხატა დედოფალს, ეს უკანასკნელი ფრიად შეძრწუნდა, და ვისაც ეკატერინე ამ ერთ თვეს წინად შეხვედრია ტფილისში, ახლა რომ ენახა, მისი ცნობა გაუჭირდებოდა, — იმდენათ გამოცვლილიყო გამოვილი განცდათაგან. თითქო დიდი ხანი იყო მას აქეთ, რაც მის ცხოვრების ბრწყინებულ ხანაში განვილო, მას აქეთ, როცა თავის ბავშვებთან სამეფო ტახტთან ასე ახლო იდგა და გარშემომყოფნი თავიანთი სცემდნენ! აწინდელი მდგომარეობა მაჯალაჯუნსებრ აწვა გულზე. მისი ყოფა მით უფრო საშინელი იყო, რომ სრულებით მარტოდ-მარტო პგრძნობდა თავს. ყველა მისი მრჩეველები — გრიგოლი, კონსტანტინე, ჭყონდიდელი, — მხოლოდ ნაღველს უსივებდნენ; მაგრამ რაღაც უნდა დასჯდომოდა, ამ მდგომარეობისათვის თავი დაედევინა და გადასწყვიტა რუსის სამხედრო ძალისათვის ეთხოვნა შევლა. ასე ეგონა, საკმაოა რამდენიმე ყაზახს რუსი გამოიხდეს, რომ გლეხთა ბრბოები გაიფანტოს, და მერე იმავე ყაზახ-რუსების დახმარებით თითო-ორთა მათგანი მწარედ დაისაჯოს, რომ აღიდებულნი წყალი თავის კალაპოტში ჩადგესო. გლეხობა თავის ქერქში დაეტიკა, მხარეში მშვიდობა ჩამოვარდნა და მაშინ მისი ხელისუფლება სახეობით განახლებდა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ გრიგოლი და რამდენიმე მეფოთარი ბატონიშვილი აქედან გაქვევებულნი იქნებოდა. თუ არა ნიკოლოზ პეტრეს-ძე კოლუბიაკინი, რომელიც ერთ დროს ტფილისში მის ნაფიც რაინდ-მოთაყვანეთა შორის იყო, რომლებიც მზად იყვნენ ყველაფერი ჩაედინათ მისი გულისათვის, და რომელსაც თავისი მეგობრობა არაერთხელ დაუმტკიცებია თავისის რჩევა-დარიგებითა და მშვენიერ საქმიან კადმით. კოლუბიაკინმა დაუწერა პასუხი ომერ-ფაშასთან და მეტის-მეტად გონება-მახვილი პასუხიც, მაგრამ რომელიც, თავ. ვ. ო. ბუბუთოვის რჩევით, ომერ-ფაშასთან არ გაუგზავნიათ.

და ეს დედოფალს აზრად მოუვიდა თუ არა, დიდხანს არ უფიქრნია, თავადი მიქაძე აფრინა და თან გაატანა

სასოწარკვეთილი წერილი კოლუბიაკინთან და სული-სულზე ელოდებოდა პასუხს.

მაგრამ სანამ გადმოვიდოდა სამეგრელოში, აჯანყების ასპარეზზე, საჭიროდა ვსთვლით შევჩერდეთ ნიკოლოზ პეტრეს-ძის კოლუბიაკინის პიროვნებაზე, რომელსაც ეკატერინემ შეველა სთხოვა, და მკითხველს გავაცნოთ იგი.

ძმები ნიკოლოზ და მიხეილი პეტრეს-ძენი კოლუბიაკინები თვალსაჩინო მოღვაწენი იყვნენ კავკასიისა. სწავლობდნენ ცარსკოე სკოლის ლიცეის პანსიონში, მაშასადამე, განათლებით მაშინდელ მოწინავე და მაღალწოდების ახალგაზრდობას ეკუთნოდნენ. სწავლის გათავების შემდეგ ერთადვე სამხედრო კარიერა აირჩიეს. ერთი მათგანი, ნიკოლოზ პეტრეს-ძე, მისი უდიდებულესობის ულანის ლაშქრის კორნეტად იყო, როცა ატყდა პოლონეთის აჯანყება 1831 წლისა, მთელი ომის განმავლობაში იბრძოდა, დაიჭრა და ომის გათავებისას გადავიდა ერთ-ერთ ულანის ლეგიონში, სადაც ერთი ისეთი ამბავი დაემართა, რასაც მისთვის საბედისწერო შედეგი მოჰყვა. მეტის-მეტი თავმოყვარე იყო, თოფისწამალივით აფეთქება იცოდა და ასეთ ადამიანს ლეგიონის კომანდირთან მოუვიდა ლაპარაკი, შეურაცხება მიაყენა, ამის გულისთვის ოფიცრობის ხარისხი აპყარეს, უბრალო ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს, გაგზავნეს ერთ-ერთ სახაზო ბატალიონში კავკასიაში.

ეს ჩვენი ქვეყნის შორეული განაპირი, სადაც გამაფრებულს ომს ვაწარმოებდით მთიელებთან, და სადაც ამ ომს მალე არ უნდა მოჰდებოდა ბოლო, პუშკინისა, მარლინსკისა და ლერმონტოვის წყალობით, გახვეული იყო ლეგენდარულსა და პოეტურს წარმოდგენაში. ამ მხარის შესახებ ბევრს რასმე ამბობდნენ სასწაულებრივს, მისტიურს; აქედან დაბრუნებულნი ჩვენი (რუსეთის) საზოგადოება ისე უხვდებოდა, როგორც გმირებს: მათს ნაამბობს ყველანი, დიდი თუ პატარა, გატაცებით ისმენდნენ ხოლმე, და კავკასია რჩებოდა რაღაც სვინქსად, რომლის გამოცნობა არავის შეეძლო. ყველა ჰკვირობდა, ნეტავ რათ უნდა ვეოთმობოდათ ჩერქეზებს, როცა მათში ყოველ ნაბიჯზე ხვდები კაცს „მოღები ნურები“, „ამალათ-ბეკები“, ქალები „კავკასიის ტყვეს“ გმირის ქალის მსგავსები, — ესენი ხომ ყველანი ზნეობრივის სიმშვენიერის განხორციელებანი არიან, და როგორღა შეიძლება ებრძოლოს ადამიანი იმ ხალხებს, რომლებიც ასეთს ტიპებსა ჰქმნიან; ასეთის ამაღლებულის მისწრაფებით და კეთილშობილების ხასიათის ჩერქეზებს თითქოს ადვილად უნდა შეეძლოთ დაუახლოვდნენ ჩვენს გულკეთილ რუსის ხალხსო. ეს კითხვები ძალაუნებურად იბადებოდა, როცა ისმენდნენ ყველა ფანტასტიურ ამბებს კავკასიის შესახებ, და მე მასსოვს, როგორ უპასუხებდა ამ ამბების გაგონებაზე, სხვათა შორის, ჩვენი პატივცემული და მეტად ორიგინალური პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა თ.ლ. მოროშკინი. „კავკასია“, მისი აზრით, „სამკვდლო იყო და რუსის ხალხს ბედისაგან ექვრა თავისი ხასიათი ამ ქვეყანაში გამოეწერათ“. ამ განმარტებას მეტს არავფერს უმატებდა, არც უნდოდა სცოდნოდა, თუ რისთვის სწარმოებდა ომი ან როდის გათავდებოდა; მოროშკინს, როგორც ბევრს სხვას მის თანამედროვას, ისიც კი ეგონა, რომ ომი სულ თავის დღეში არ გათავდებოდა, მით უფრო, რომ ლომისებურ ჭადარა თავიანი გენერალი, რომელსაც ამ ომის გათავება შეეძლო, თანდათან ჰქრებოდა მოსკოვში, საკუთარ სახლში, პრეზის-ტენკაზე. თუმცა ეს განმარტება კავკასიისა პატივცემულ პროფესორის მიერ, ცოტა არ იყოს, უცნაური იყო, მაგრამ შიგ სიმართლის ნიშანწყალიც უნდა. კავკასიაში მართლაც შესაძლებელი იყო გამოქვეყნება და გამოწრობა ხასიათებისა, რადგან ამისთვის მრავალგვარი პრაქტიკა და ძნელი ასასრულებელი დავალებანი მხვდებოდა წილად თითქმის ყოველ რუს მოღვაწეს, რომელიც კი მოკლებული არ იქნებოდა აღმადლებულ პატივმოყვარეობას. ცელქობისათვის ახალგაზრდობის

გაგზავნა კავკასიაში, გამოსასწორებლად, ყოველთვის კი არ იყო ცარიელ ფრაზად. ბევრნი გადაგზავნილთაგანი იქიდან ბრუნდებოდნენ მეტად საყურადღებო და სერიოზულ ადამიანებად. ერთ მუჭა რუსებს, — ჩვენი ჯარები მაშინ მცირერიცხოვანი იყო და შეიძლებოდა მართლაც ერთი მუჭა გვეწოდებინა, — რომლებიც აქეთკენ გამომტოვრდნენ იყვნენ თავის დამოუკიდებლობისათვის გამწარებით სისხლის დამღვრულ ხალხებთან საბრძოლველად, სხვა ლოზუნგი არ გააჩნდათ თვინიერ შეტევისა და გამარჯვებისა. აქ არ იყო ელემენტები ობლომობობისათვის, — ზნეობრივად ჩამოქვეითებისათვის, როგორც ეს ხდებოდა ყოველ ნაბიჯზე ჩვენს საზოგადოებაში მაშინ ფრთაგაშლილ ბატონყმობის წყალობით, — ეს აქ შეუძლებელი იყო; გარემო პირობები სახეობით სპარტანულს ხასიათისა იყო, უზომო მატერიალურს გაჭირვებას განიცდიდა ყველა, მოქმედება უხდებოდათ მისხანა და მიუდგომელა ბუნების შორის, და ასეთს გარემოებაში ჩავარდნილი რუს-კავკასიელს ყოველთ-უწინარეს სჭირდა სულის სიმტკიცე და ვაჟაკობა. უშიშარი სიამაღაცე აქ უარყოფით თვისებად ითვლებოდა იმ აზრით, რომ აქ არავის შეეძლო მხდალი ყოფილიყო, და თან ადამიანს ისე არსად აფასებდნენ ძვირად, როგორც აქ, ისე არსად სარგებლობდნენ მათის ნამდვილის ღირსებით, როგორც აქ, ადამიანებში ამ ღირსებებს ეძებდნენ, ასეთ ადამიანს ზრდიდნენ და მათს ხასიათს სწრთენიდნენ. ნიჭიერს და უმაღლესის განათლებით აღჭურვილს ადამიანს აქ არ შეეძლო დაკარგულიყო და მიჩქმალულიყო სადმე, არამედ მისს ნიჭსა და ცოდნას სახეობით გამოიყენებდნენ. ამ მნიშვნელობით კავკასია მართლა მკვდელი იყო, და აქ გამოტოვრდნილი იყო თავის დასაწვისშივე დამსხვრეულ კარიერით, ნიკოლოზ პეტრეს-ძე კოლუბიაკინი. და ამ წრემ დაღუპვას გადაარჩინა კიდევ.

ყოველთ უწინარეს მის აღმზრდელად შეიქმნა კავკასიელი სოლდათი, რომელთანაც, როგორც სწორთან, რამდენსამე წელიწადს იძულებული იყო სამსახურის მიძიმე ჭაპანი ექვირა. ამ პირქუმს სკოლაში, ფიცხმა, თავისებურმა ჭაბუკმა განყენებულ და ფანტასტიურ იდეალებს ატმოსფეროში აღზრდილმა, პირველად შეიგნო და დააფასა სისადავის და სიმართლის დიდებულება, რუსი სოლდათის ხასიათს საფუძვლად რომ ედო, და რაკი ეს შეგნება ძვალ-რბილში გაუჯდა, ამ სკოლიდან სამუდამოთ გამოიქნა ის წრთობა, რომელიც, მიუხედავად მის მრავალ პირად ნაკლისა, მასში სულმულამ გაგრძობინებდათ ადამიანურის ღირსებით სახეუ პიროვნებას. პირველს თავის გალაშქრებას უბრალო სოლდათად თავის დღეში არ იფიქვებდა. ამის გაღმქრების დროს მისს მეზობელს სოლდათს ასეთი გაკვეთილი მიუცია მისთვის: „ადამიანი ამოიღო ნიშანში? — შენიშნა ამ მეზობელმა, — თვით უბედური ადამიანი ხარ, დაჯარიმებული, და განზრახვა გაქვს სხვას წაართვა სიცოცხლე. იცოდე ღმერთი ამის გულისთვის უფრო დაგსჯის“. ეს სიტყვები ისეთი სადა და გულისხმაში ჩამგდები იყო, რომ ახალგაზრდა კაცს ძირიან-ფესვიანად შეუცვალა აზროვნება და განაკურნა განუსჯვალობისაგან. ნიკოლოზ კოლუბიაკინი სულმულამ განსაკუთრებულის მაღლიერებით იგონებდა თავისს სოლდათობის წლებს, იმის მსგავსად, როგორც დოსტოევსკი თავის იძულებითი სამუშაოს წლებს იგონებდა ხოლმე, ხოლო თავისს ყოფილ ასეულის უფროსს, ივანე კორზუნს, ძველ კავკასიელ ნამსახურს უკრაინელს, კაცს სრულებით უსწავლელს, მაგრამ გულადს, პატიოსანს და გულკეთილს, ყოველთვის განსაკუთრებულის პატივისცემით დახვდებოდა ხოლმე იმ დროს, როცა უკვე დიდი თანამდებობა ეჭრა. კორზუნი სულმულამ სტუქსავდა თავის სიოცხისათვის. — შენ ჩემო ძამიავ, სულ ჰყვირი, როდის იქმნება, რომ იყუჩო? — დარიგებას აძლევდა ყოფილი ასეულის უფროსი თავისს ყოფილ ხელქვეითს, ახლა კი ქუთაისის გუბერნატორს, და ეს უკანასკნელი კი უდრტიველის სულგრძობობით უსმენდა ყოველსავე ამას.

ბაზემი "ილორის" დღევანდელი  
ნომრის სტუმარია საქართველოს  
ეროვნული მოძრაობის  
ერთ-ერთი თვალსაჩინო  
მოღვაწე,  
ბატონი ვალტერ შურღია.

ბატონი ვალტერ შურღია დაიბადა  
1944 წელს. 1961-1962 წლებში პოლიტ-  
პარტიმარია (გასამართლდა სისხლის  
სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის I  
ნაწილით და 73-ე მუხლით – ანტის-  
აბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა).

1990 წელს არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს  
წევრად. იყო ადამიანის უფლებათა დაცვის  
კომიტეტის მდივანი. 1991-92 წლის პუტჩამდე ორი  
თვით ადრე დაინიშნა პრეზიდენტის რწმუნებ-  
ულად სამეგრელო-სვანეთში. პუტჩის შემდეგ ქმ-  
ნის ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტს.  
1994-2000 წლებში კვლავ პოლიტპარტიმარია შე-  
ვარდნადისა და მისი ხროვის მიერ შეთხოვნილი  
ვალბი ბრალდებით. შევარდნადის სახელისუ-  
ფლებო მაფიის წევრმა ვერ გატეხა ეს დიდი  
ნებისყოფის მქონე ადამიანი.

მან არაერთი თბილი სტრიქონი უძღვნა  
საქართველის პირველ და ჯერჯერობით ერ-  
თადერთ კანონიერ პრეზიდენტს ზვიად გამ-  
სახურდიას. ამჯერად, ბატონმა ვალტერმა  
ექსკლუზიურად გაზეთ "ილორს" გადასცა  
გამოსაქვეყნებლად ზვიად გამსახურდიასადმი  
მიძღვნილი საკუთარი ადრესი და ლექსი,  
რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ  
ჭეშმარიტ პატრიოტს, რომელმაც უამრავი რამ  
დათმო საქართველოს საკეთილდღეოდ.

ზვიად!

შენ იმდენად ამაღლებული ხარ უკვე,  
რომ არც ეპითეტი – "ბატონი" გჭირდება  
და არც თქვენობით მიმართვა.

შენ და შენი ქრისტესმიერი ძმა, მერაბ  
კოსტავა – ორი კოლხი ბიჭი – იბადებით  
არა სამეგრელოში, არამედ საქართველოს  
დედაქალაქში. ამ უფლისმიერ საიდუმლოს  
საქართველოს განთავისუფლება და  
დამოუკიდებლობა მოჰყვა.

მიიღე ჩემგან, ჩემი აზრით მდარე ლექსი.  
სულ ეს არის, რაც შეგებელი და როგორც  
შეგებელი.

შენი მისია შედგა, ზვიად!

შეშლილ მსოფლიოს ქარბორბალამ გადაუარა,  
ეშაფოტს ეცა მუცლადღება მოჭრილ თავების;  
დიდგორის ველი მტლად დაედო ერის იარას;  
გორის ციხესთან დაიყარა მოსართავები, –  
ამოდ სცადეს გაუხედნავ რაშთა შებორკვა!  
ზარდარისხეხას მოჰყვებოდა ძრწოლა და ბორგვა,  
ვაგლახად ჩანდა ნამსხვრევები ეშმაკის მახის!  
იაღაღებზე დაწვებულა ყვაილთა მორგვა,  
აღამს უშვია რაინდები მწუხარე სახის;  
დაიდგამაში მოქცევიათ ფერთ სიხასხასე,  
იმედის ფარად მოვლენოდ სულ ეული  
სამების მადლით შემოსილა ახალ სხეულით!  
მადალი მხერა დაადგება როგორც კი მცხეთას,  
ისნის სასახლეს გარდაუვლის ჩუმი ჩურჩული;  
სიო დაპბერავს სიონიდან მოჩითულ ხეთა,  
იწყებს წმინდანის გამომერწვას დიდი მერწულე;  
ამიერიდან ჩაუჯდება ეტრატს მორჩილი.

ps.

"დაუბრუნდება მსროლელს  
წუნკლად ნასროლი ისარი",  
ჩემი სამშობლო ეს არის: –  
უძღვებ ტიტანთა ბრძოლა!  
და გაგრძელდება მანამ  
უმწიფარ კვიცთა სრბოლა,  
გამონათებს სანამ  
ახალი ღვთის ემისარი!

ვალტერ შურღია,  
2006 წლის 17 იანვარი.

რას ანობდნენ სამეგრელოზე მსოფლიოში  
სახელგანთქმული ადამიანები:

პირველი ბერძენი მწერალი, რომელ-  
იც იცნობს ქალაქ დიოსკურიას, არის  
ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-V საუკუნ-  
ის მწერალი სვილაქს კარიანდელი... ეს  
ისტორიკოსი წერს: "გელონების შემდეგ  
ცხოვრობენ კოლხები, რომელთა მიწა-  
წყალზე არის ქალაქი დიოსკურია".

"წვენამდე მოღწეულია დოკუმენტური  
მასალები, რომლებითაც მტკიცდება, რომ  
უკვე V საუკუნეში (ძველი წელთაღ-  
რიცხვით) ფაზისში დღედა ცხოვრება.  
მდინარე ფაზისსა და ქალაქ ფაზისს  
(ფოთი) კარგად იცნობენ ბერძენი მწ-  
ერლები ყველა საუკუნისა".

"კოლხეთში, ფოთის მახლობლად, IV  
საუკუნის პირველ ნახევარში არსებული  
რიტორიკული სკოლა, სადაც განათლე-  
ბა მიუღია თემისტოისის. თუ რომელი  
იყო ეს ქალაქი ჩვენ არ ვიცით. ყოველ  
შემთხვევაში, თემისტოისის სიტყვაში  
ნათლადაა ნათქვამი, რომ ეს სკოლა იყო  
კოლხების ქვეყანაში და ფოთის  
მახლობლად.

ფოთის მახლობლად არსებულ რი-  
ტორიკულ სკოლაში განათლება მიუღია  
აგრეთვე თემისტოისის მამას, ევგენიოსს,  
რომელიც შემდეგ ფილოსოფიის გან-  
თქმული მასწავლებელი იყო კონსტან-  
ტინეპოლში.

კოლხეთი, როგორც ყოველი  
არაბერძენული ქვეყანა, ბერძენისათვის  
ბარბაროსული ქვეყანა იყო, მაგრამ  
თემისტოისის ხაზს უსვამს იმ გარემო-  
ბას, რომ კოლხეთი უადრესად კულტურ-  
ული ქვეყანაა და იგი მცენიერებისა და  
ხელოვნების ცენტრს ("მუზეუმის  
ტაძარს") წარმოადგენს".

სიმონ ყაუხჩიშვილი, "რას  
გვიამბობენ ძველი ბერძენები  
საქართველოს შესახებ" –  
ნაწიკვებები.

"...ქართული ენა და ქართული მწერ-  
ლობა იწოდება ქართულად მისი ის-  
ტორიული აღორძინების ერთ და ერთ  
მომენტის მიხედვით, ხოლო ნამდვილ და  
არსებით ახლა იგი არათუ მარტო ქარ-  
თულია, არამედ ქართულ-მეგრულ-  
სვანური გახლავს".  
ნიკო მარი, "მეგრული ენა".

"ლაზები მრავალრიცხოვანი და მეო-  
მარი ხალხია. ისინი ბატონობენ მრავალ

სხვა ტომზე. ლაზები ამაყოფნენ  
კოლხების ძველი სახელით და ზომავს  
მეტად მოაქვთ თავი, შესაძლოა არც თუ  
ისე უსაფუძვლოდ".

აგათია სქოლასტიკოსი, VI  
საუკუნე, ო.ლორთქიფანიძის  
"ძველი კოლხეთის კულტურა"-  
დან.

"ლაზებს რომ ძველად კოლხები  
ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან,  
ამაში ეჭვი არ ეპარება არავის, თუ კი ის  
გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ  
გარშემო მდებარე ქვეყნის მოსახ-  
ლეობას".

აგათია სქოლასტიკოსი, VI  
საუკუნე,  
ნ. ლომოურის "ეგრისის  
სამეფოს ისტორია"-დან.

"ამბობენ, რომ ის (იგულისხმება  
ანაკლია) იმ ალაგას არის გაშენებული,  
სადაც ოდესმე იყო დიდი ქალაქი, სახე-  
ლად ჰერაკლე".

ჟან შარდენი, "მოგზაურობა  
საქართველოში".

"თუმცა კოლხი დისაქენ გზა ასე  
საშიშაა და თვით ეს უხვი ქვეყანა მო-  
ლად მოხრებულა, იქ სულს მანაც არ  
მოჰკლებია ხსნა ქრისტეს ძვირფასის  
სისხლის მადლითა".

"კოლხიდა მდიდარია აგრეთვე  
ღვინით, მაგრამ ძლიერ ღარიბია პური".

"მიწის მუშაობას... კოლხიდაში იმ-  
დენად ეტანებიან, რომ ყველას კეთილ-  
შობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანაში  
მუშაობა".

"არც ერთი ერი პატივს არა სცემს მი-  
წათმოქმედებას, როგორც მეგრელები.  
სხვაგან ყოველგან მიწის მუშაობას  
ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი და  
ხეპრე გლეხები. სამეგრელოში კი რაც  
უნდა დიდი გვარის კაცი იყოს თვითონ  
მუშაობს თავის ყანებში და მოჰყავს  
თავის საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ  
როდი მიაჩნიათ".

"ცხენები აქ (სამეგრელოში) ისე

ბლომად არის, რომ ყველა კაცს, რაც  
უნდა ღარიბი იყოს, ჰყავს თავისი ცხენი,  
– ვარცა (ულაყი) თუ ჭაკი. დაბალ  
ხალხს ჰყავს: ვის სამი, ვის ოთხი და ვის  
ხუთი ცხენი. ხოლო კეთილშობილებს:  
ორმოცდაათი, ვის ასი და ვის ორასი.  
მთავარს კი ათასობით ჰყავს. სულ ყ-  
ოლება ხუთი ათასი ვარცა და ჭაკი...

გარდა ცხენებისა, ყველას თავთავისი  
ხარები ჰყავს მიწის სახანავად და ძროხ-  
ები ყველისათვის. ცხვარი კი ცოტა  
ჰყავთ... რაც არის იმის მატყელი კი კარ-  
გია... ბლომად ჰყავთ თხები და ღორები".

"ჩემის მხრით, გამოცდილებით შემ-  
იღია გაბედულად ვთქვა, რომ მთელ  
ქვეყნიერებაზე საუკეთესო თაფლი  
კოლხიდისა არის".

არქანჯელო ლამბერტი, "სამეგრე-  
ლოს აღწერა".

"ზანური (მეგრულ-ჭანური) ენა მომ-  
დინარეობს ერთ-ერთი დიდი ქვეყნიდან,  
რომელიც ძველი ქართული სალიტერ-  
ატურო ენის შემადგენლობას გამოეყო".  
არნოლდ ჩიქობავა.

"ქვეყანა (სამეგრელოზე ამბობს) და  
განსაკუთრებით ქალები მეტისმეტად  
ლამაზებიან. ამ მხარეში უფრო მეტად,  
ვიდრე სხვა ქვეყანაში, დიდი თავშეკავე-  
ბაა საჭირო, რომ ცთუნებაში არ  
ჩავარდეს კაცი".

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი,  
"წერილები საქართველოზე".

"მეგრული ქალები, მეტადრე ქერა-  
შავთვალა და შავგვრემანი ცისფერ-  
ვალეა ქალები, ულამაზესნი არიან  
დედამიწის ზურგზე".  
ალექსანდრე დიუმა, "კავკასია".

"სამეგრელო ნაკლებად ცნობილი და  
ამავე დროს ერთ-ერთი საინტერესო  
კუთხეა დედამიწის ზურგზე".  
ვიულ მურიე.

"სამეგრელო ყველა სიმდიდრით და-  
ჯილდოებული, ათასი ნაკადულის  
ქვეყანაა!"

ბერტა კინსკი, ნობელის  
პრემიის ლაურეატი.

ინტერნაციონალიზაცია – რუსეთის არმია ახალ იარაღს მიიღებს

ვინ ემუქრება რუსეთს? ამ კითხვას დიმიტრი მედვედევმა  
თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე უპასუხა – „ნატოსა და  
აშშ-ის აქტიურობა რუსეთის საზღვრებთან. იუგოსლავიის, ერ-  
აყის, ავღანეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდეგ „პარტნიორე-  
ბის“ მშვიდობისმოყვარეობის შესახებ ილუზიები აღარ დავგრ-  
ჩა. ნატო აშკარად დეკლარირებს, რომ შესაძლოა, ევროპის ენ-  
ერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიჰყოს ხელი.  
გარდა ამისა, კრიზისი მსოფლიო ეკონომიკას გადააფორმებებს,  
ადრე თუ გვიან ის გამოცოცხლდება და მშვიდი თვალებით  
შეხედავს ჩვენს რესურსებს. მონდომებენ კი „პარტნიორები“  
ჩვენთან ვაჭრობას? თუ გადაწყვეტენ, რომ მათ წართმევას ძა-  
ლით ან, უფრო სწორად, ჭკუით – შეიარაღების უკეთესი ხარისხ-  
ით და ტექნოლოგიური სრულყოფილებით – შეძლებენ? აშშ-  
სა და ნატოს ამისთვის საკმარისი შესაძლებლობები აქვთ. ჩვენ  
კი – ამ გეგმების შექმნების ძალა და საშუალებები. რა თქმა  
უნდა, დასანანი, რომ 5 ტრილიონი რუბლი „განხვებზე“  
დაიხარჯება. ალბათ, მსოფლიო სხვაგვარი რომ ყოფილიყო, ამ  
ფულის გამოყენება სხვანაირად შეიძლებოდა. მაგრამ სიმშ-  
ვიდისა და უსაფრთხოებისთვის საზღაურის გადახდაა საჭირო".  
რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე სახ-  
ელმწიფოს მეთაურმა არმიისა და ფლოტის მასშტაბური ხე-  
ლახალი შეიარაღების შესახებ გამოაცხადა. კრიზისის მი-  
უხედავად, სახელმწიფო სამხედროებს 2020 წლამდე 5 ტრილი-  
ონ რუბლს გამოუყოფს. ეს ფული სამხედრო ტექნიკის სე-  
რიოზულად განახლების საშუალებას იძლევა.

– შეწყდეს შეკეთება, საჭიროა ახალი ტექნიკის შექმნა, –  
განაცხადა მედვედევმა.

"იზვესტიამ" გადაწვეტა, გაერკვია, რით შეიარაღდება  
რუსეთი.

სუ-34 – რუსული ავიაციის მომავალი. ეს გახლავთ  
გამანადგურებლისა და ბომბდამშენის ჰიბრიდი, მანქანა, რომელ-  
საც ერთნაირად ეადილება უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების  
შესრულება და მცირე ზომის სამიხენების წერტილოვანი  
განადგურება. დღეს ასეთი მხოლოდ სამია. 2015 წლამდე  
თავდაცვის სამინისტრო 32 ცალს შეიძენს. თვითმფრინავის დიზაინ-  
ბაზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს: ექვსი უახლესი კონტინენტ-

თაშორისი ბალისტიკური რაკეტა „ტოპოლი მ“ 5 მილიარდი  
რუბლი ღირს, ხოლო ორი სუ-34 1,8 მილიარდი რუბლი დაჯდა.

როგორც წინა წლებში, ძირითადი აქცენტი ახლაც შეაკე-  
ბის ბირთვული ძალების ხელახალ შეიარაღებაზე გაკეთდება.  
გრუნტის კომპლექსები „ტოპოლი“ მობილური „ტოპოლი მ“-ით  
შეიცვლება. ამავე დროს, გაძლიერდება სტრატეგიული ძალების  
საზღვაო შემადგენელიც. 2009 წლის ბოლოსთვის სამხედრო-  
საზღვაო ფლოტს შეემატება პირველი სტრატეგიული რაკეტ-  
მზიანი „იური დოლგორუკი“ უახლესი საზღვაო ბალის-  
ტიკური რაკეტა „ბულავაითი".

მეორე პრიორიტეტად შეიძლება ჩვეულებრივი „არა-  
ბირთვული“ ფლოტი მივიჩნიოთ. აქ ერთბაშად რამდენიმე  
სიახლეა: წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს „ლდას“ ტიპის  
დიზელის უახლესი წყალქვეშა ნავებისა და დიდი სად-  
ნანტო ხომალდის აგება. შეიქმნება ერთბაშად ორი ტიპის  
სანაპირო მოძრავი მობილური სარაკეტო კომპლექსი „ბალი“  
და „ბასტიონი".

მასშტაბური განახლება მოელის სამხედრო-საპაერო ძალებსა  
და პაერსაწინააღმდეგო თავდაცვას. პირველ მათგანს მასო-  
ბრივად (50 ცალი) მიეწოდება ვერტმფრენები მი-28 და მიგ-29.  
გამანადგურებელ ავიაციამ ახალ სუ-27 CM-ს და მიგ-29-  
ს მოელოა. ჩვეულებრივი მიგ-ებისგან ის იმით განსხვავდება,  
რომ საწვავის მარაგი გაზრდილია, აღჭურვილია ჰაერში საწ-  
ვავის დამტების სისტემით. დგას ახალი საბორტო კომპიუტერი  
და თანამედროვე მრავალფუნქციური რადარი.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები უახლესი საზენი-  
ტო-სარაკეტო სისტემა ჩ-400 „ტრიუმფის“ მეორე დივიზიონის მი-  
იღებენ, რომელსაც საპაერო სამიხენია ყველა ტიპის  
განადგურება ძალუძს, იქნება ეს დაბალ სიმაღლეზე მაგალი  
ფრთოსანი რაკეტები, მცირე ზომის უპილოტო საფრენი  
აპარატები თუ წამში 5000 მ სიჩქარით მოძრავი ქობინები. მო-  
რიგი სიახლე – სარაკეტო-საზარბაზნე სისტემა „პანცირი“ –  
რუსული თავდაცვის სისტემის კიდევ ერთი უნიკალური  
გამოგონება. მისი მიზანში მოხვედრების ზონის სიგრძე 12  
კილომეტრია, სიმაღლე – 5 მეტრიდან.

მს ჩვენი ისტორიაა...



ყველაზე ახალგაზრდა ქართველი მაღალჩინოსანი სამხედრო იყო ალექსანდრე ბატონიშვილი – პირველი ქართველი გენერალი. 28 წლის ასაკში მას მიენიჭა გენერალ-ფელდციხისაგანის ტიტული. იგი რუსეთის არტილერიის, როგორც ჯარის სახეობის დამაარსებელია.

ქართველ გენერლებს შორის ყველაზე პოპულარულად პეტრე ბაგრატიონი ითვლება. რუსეთის ალექსანდრე სუვოროვისა და მიხეილ კუტუზოვის შემდეგ არ ჰყოლია არც ერთი გენერალი, რომელიც ასეთი პატივისცემითა და სიყვარულით ყოფილიყო გარემოსილი არმიაში, ისეთი პოპულარობა ჰქონოდა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, როგორც პეტრე ბაგრატიონს. იგი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან. მონაწილეობდა 150-ზე მეტ ბრძოლაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. 300-წლიანი ქართული გენერალიტეტის ისტორიაში, და არა მარტო მასში, ესოდენ დიდი სახელი, ცხოვრების ასე მოკლე ხანში, მხედართმთავართა შორის იშვიათად ვინმეს თუ დაუმსახურებია.

ქართველ გენერალთა უმრავლესობა, რომლებიც რუსეთის იმპერიის არმიაში მსახურობდნენ, სხვადასხვა საბრძოლო ჯილდოების გარდა წმინდა გიორგის ორდენის კავალერი იყო. წმინდა გიორგის ორდენით აჯილდოვდნენ ოფიცრებს, რომლებმაც ბრძოლის ველზე განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს, აგრეთვე გამარჯვების საშტაბო ორგანიზატორები იყვნენ. წმინდა გიორგის ორდენი იძლეოდა გამორჩეული პენსიის, აზნაურობის მემკვიდრეობის და სხვა სამსახურებრივი და მატერიალური პრივილეგიების მიღების უფლებას. წმინდა გიორგის ორდენი, ასევე წმინდა გიორგის ჯვარი ოთხი ხარისხის იყო. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ესენი ერთადერთი ნებადართული ჯილდოები იყო, რომელსაც ატარებდნენ, როგორც უმაღლესი პატივითი ორდენის მარშალის ტიტული მინიჭების შემდეგ.

პირველი ქართველი, ვინც რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენი დაიმსახურა, ქართლის მეფე ვახტანგ VI იყო. ქართლ-კახეთის მეფემ, სახელგანთქმულმა მხედართმ-

თავარმა ერეკლე მეორემ ეს მაღალი ჯილდო მიიღო 1769 წელს, ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII – 1799 წელს.

რუსეთის იმპერიის ქართველი გენერლებიდან ყველაზე მეტი საბრძოლო ორდენი, მედალი და სხვა ჯილდოები მიღებული ჰქონდა განუყოფელ პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონს. ნაპოლეონმა პეტრე ბაგრატიონი რუსეთის არმიის საუკეთესო გენერალად აღიარა.

“საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოვლენილი სამხედრო ნიჭის, ვაჟაკური შემართებისა და მამაცობისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარის და შს. მინისტრის ნოე რამიშვილის წარდგინებით, დამოუკიდებელი დაქართველოს სამხედრო შტაბმა ასლან აბაშიძეს გენერლის წოდება მიანიჭა 1918 წელს”. ამგვარი ფორმულირებით ანიჭებდნენ გენერლის წოდებას საქართველოში 1918-1919 წლებში.

ასლან აბაშიძე – აჭარის ეროვნული გმირი, პირველი გენერალია აჭარიდან (მეორე გენერალი გახლდათ ასევე ასლან აბაშიძე, რომელიც 1991 წლიდან ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), იგი განთქმული სახოვადო მიღვაწის შემდეგ აბაშიძის ძმა იყო.

სტალინი დაჯილდოებული იყო “გამარჯვების ორდენით” ორჯერ. ასევე ორჯერ იყვნენ დაჯილდოებულნი გ. შუკოვი და ა. ვასილევსკი; თითოჯერ – კ. როკოსოვსკი, ი. კონევი, რ. მალინოვსკი, თ. ტოლბუხინი, დ. გოგოროვი, ს. ტიმოშენკო, კ. მერეცკოვი და ა. ანტონოვი.

“გამარჯვების ორდენით” დაჯილდოვდნენ აშშ-ს არმიის გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი, დიდი ბრიტანეთის არმიის ფელდ-მარშალი ბერნარდ მონტგომერი, იუგოსლავიის მარშალი ბროს ტიტო, რუმინეთის ხელმწიფე მიხაი.

კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი ერთადერთია საქართველოში, ვინც დედამიწას წყალქვეშეთი შემოუარა (მანამდე ეს განახორციელეს მხოლოდ ორმა საბჭოთა და ორმა

ამერიკულმა წყალქვეშა ხომალდებმა).

ატომური წყალქვეშა ხომალდი, რომელსაც პირველი რანგის კაპიტანი ა. ჯავახიშვილი მეთაურობდა, ბარენცის ზღვის სამხედრო ბაზიდან 1972 წლის 17 იანვარს გავიდა, გადალახა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ზღვები, ატლანტის ოკეანე, დრეიკის სრუტე, წყნარი ოკეანე და იმავე წლის 31 მარტს კვლავ ბარენცის ზღვის ბაზას დაუბრუნდა.

ბერიას დახვედრის შემდეგ ხრუშჩოვის “წყალობით” სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ათი წლის განმავლობაში არც ერთ ქართველს არ უმსახურია. როცა 1964 წლის დასაწყისში დადგა ქართველი ეროვნების თანამშრომლის მოსკოვში “კებ“-ს ცენტრალურ აპარატში მიწვევის საკითხი, არჩევანი პოდპოლკოვნიკ გიორგი ფიფიაზე შეიხერეს. იგი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ერთადერთი ქართველი ოფიცერი იყო უშიშროების აპარატში. მის დიდ ერუდიციას, შრომისუნარიანობასა და საქმის დრმა ცოდნაზე მეტყველებს ის, რომ ათი წლის განმავლობაში გენერალ-მაიორი გიორგი ფიფია ხელმძღვანელობდა სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ყველაზე პასუხსაგებ და ზუსაიდუმლო დარგს – საინფორმაციო-ანალიტიკურ სამმართველოს. ათობით სამეცნიერო შრომის ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლეგენდარული მხევრავი და ანალიტიკოსი გენერალ-მაიორი გიორგი ფიფია ცნობილია, აგრეთვე როგორც გახმაურებული კინოფილმებისა და ტელეხელობების “გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელეგება“-ს, “ფრონტი ფრონტის ხაზს იქით” და სხვა ნაწარმოებთა მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი. მისი ლიტერატურული ფსევდონიმები იყო გიორგი კოლხი და გიორგი ივერინი.

პირველად გორგასლის მესამე ხარისხის ორდენებით 1993 წლის 28 თებერვალს დაჯილდოვდნენ მომავალი გენერლები – გენო ადამია და ემზარ ჭოჭუა, გენერალ-მაიორები – ზაურ უჩაძე და ვალერი ქვარაია, ოფიცრები: ალექსანდრე გეორგელიძე და თენგიზ ძაძაძია (ორივენი სიკვდილის შემდეგ).

იოსებ სტალინის საპირველასკრილო ხუმრობა

როგორც ცნობილია, 1945 წლის გაზაფხულზე ანგლოამერიკელებს საკმარისი შანსი ჰქონდათ წითელ არმიას უწინ ბერლინში შეჭრისა. 27 მარტს სააგენტო „როიტერსი“ კონრესპონდენტი კემპბელი, რომელიც 21-ე არმიას ახლდა, იუწყებოდა: „ისინი გერმანიის გულისკენ მიისწრაფვიან და გაზაზე დაბრკოლებები არ ხედებათ.“ ჟურნალისტმა ცოტა გააზვიადა – გერმანელები მოკავშირეების ჯარებს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ეს წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა.

ამ ფონზე 1 აპრილს იოსებ სტალინმა ევროპაში მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების მეთაურს დუაიტ ეიზენჰაუერს გაუგზავნა ბარათი, რომელშიც ეწერა: „ბერლინმა დაკარგა თავისი უწინდელი სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომ საბჭოთა მთავარსარდლობა ბერლინის მხარეს მორეზარისხოვანი ძალების გამოყოფას გეგმავს.“ მოიწონა რა საბჭოთა და მოკავშირეთა ჯარების შეერთების გზით მეორე დამატებითი რგოლის შექმნის ამერიკული გეგმა ვენა-ლინცი-რეგენსბურგის რაიონში, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელმა ეიზენჰაუერს აუწყა, რომ „საბჭოთა ჯარების მთავარი იერიში, საგარაუდოდ, მისის მეორე ნახევარში დაიწყება.“

იმავე დღეს სტალინმა „გენაზე შეტევის“ მომზადება დაიწყო „მისის მეორე ნახევრისთვის.“ აი, როგორ იხსენებდა ამას გიორგი კონსტანტინეს ძე შუკოვი: „1945 წლის 1 აპრილს უმაღლესმა მთავარსარდალმა მოისმინა აი. ანტონოვის მოხსენება ბერლინის ოპერაციის საერთო გეგმის შესახებ, შემდეგ კი ჩემი მოხსენება 1-ლი ბელორუსული ფრონტის იერიშის შესახებ და კონევის ანგარიში 1-ლი უკრაინული ფრონტის იერიშის თაობაზე. მან იქვე მიუთითა მარშალ კონევის: „ბერლინის აღმოსავლეთ მისადგომებთან მტრისგან სასტიკი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, რაც საგარაუდოდ, ასეც იქნება, და პირველი ბელორუსული ფრონტის იერიშის შესაძლო დაგვიანების პირობებში, უკრაინის პირველი ფრონტი მზად უნდა იყოს, ბერლინის სამხრეთიდან შეუტოს... 2 აპრილის დამდეგ ჩემი თანდასწრებით უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა 1-ლი ბელორუსული ფრონტისთვის ბერლინის აღების მიზნით ოპერაციის მომზადების დირექტივას და ასევე განკარგულებას, 12-15 დღის მანძილზე ელბაზე გასვლის შესახებ. მთავარი იერიშის მიტანა კიუსტინის პლაცდარმიდან გადაწყდა.“

როცა ეიზენჰაუერს წერილს უგზავნიდა, სტალინმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ იმავე დღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს აცნობებდა: „ფიქრობ, პოლიტიკური თვალსაზრისით, უკრაინი იქნება, გერმანიაში აღმოსავლეთისკენ წავიწიოთ, და იმ შემთხვევაში, თუ ბერლინი ჩვენთვის ხელმისაწვდომ საზღვრებში აღმოჩნდება, ის უნდა ავიდოთ. ეს გონივრული იქნება სამხედრო თვალსაზრისითაც.“

ჩერჩილი, რომელიც საბჭოთა კავშირს პოტენციურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა, ვარაუდობდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების სტრატეგიასა და პოლიტიკაში გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო შემდეგი მოსაზრებები: „დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ახალი ფრონტი მის (საბჭოთა კავშირის) გამაღებელი წინსწრაფვის შესახებ; ეს ფრონტი ევროპაში აღმოსავლეთით რაც შეიძლება შორს უნდა გაიშალოს; ანგლოამერიკული არმიის მთავარი და ნამდვილი მიზანი – ბერლინი, ჩეხეთის გათავისუფლება და პრაღაში შესვლა... არ მიმანია, რომ ბერლინმა დაკარგა თავისი სამხედრო და, მით უფრო, პოლიტიკური მნიშვნელობა, ამიტომ უპირატესობას ვანიჭებ იმ გეგმას, რომლის საფუძველზე დაგანქარეთ რეინი, კერპოდ, იმას, რომ მე-9 არმიამ, 21-ე არმიასთან ერთად, ელბისა და ბერლინისკენ წაიწიოს.“

თუმცადა, „ახალი ფრონტის“ შექმნის დაშვებასა და „აღმოსავლეთით რაც შეიძლება შორს შეჭრას“ სტალინი სულაც არ აპირებდა. არ მოსწონდა ეს იდეა. მისი აზრით, „ახალი ფრონტი“ რაც შეიძლება შორს უნდა შეჭრილიყო დასავლეთისკენ. პოდა, გეოპოლიტიკური სიტუაციის საბჭოური ხედვის საფუძველიანობის დასამტკიცებლად, 1945 წლის 16 აპრილს „სტრატეგიულმნიშვნელობადაკარგული“ ბერლინისკენ დამხმარე ძალები – ბელორუსიისა და უკრაინის პირველი ფრონტების ჯარები დაიძრნენ.

გაზეთი "ილორი" უძღვება რეზიპიას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

# მექსიკა — 1970

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას ორი ქვეყანა აცხადებდა – არგენტინა და მექსიკა. მათ ჭიდილში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უპირატესობა მექსიკას მიანიჭა. აქვე დაინერგა კიდევ ერთი ფრიად სასარგებლო სიახლე – ამერიკიდან მსოფლიო ჩემპიონატის

მატჩებზე მწვერტლებს მიეცათ მოთამაშეების შეცვლის უფლება მატჩის მიმდინარეობისას. ჩემპიონატის პირველ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ნაკრები გუნდები. ამ მატჩში გოლი არ გახვდა. რაც შეეხება მეორე მატჩს, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ბელგიის ნაკრებს

სძლია ანგარიშით 4:1. მექსიკელებმა კი მშრალი ანგარიშით, 4:0 მოუგეს საღვადლოს ნაკრებს. მესამე ტურში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა საღვადლოს ნაკრებს მოუგო ანგარიშით 2:0, ხოლო ბელგიელებმა მექსიკელები დაამარცხეს ანგარიშით 1:0 და მოიპოვეს მეოთხედფინალის საგზური. მეორე ჯგუფში მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს იტალიელებმა და ურუგვაელებმა.

საინტერესო შეხვედრები გაიმართა მესამე ჯგუფში, სადაც აღსანიშნავი იყო ბრაზილიელებისა და ინგლისელების დაპირისპირება, რომელშიც ბრაზილიელებმა ჟაირზინიოს ერთადერთი გოლის წყალობით 1:0 გაიმჯგვეს. სხვა მატჩებში კი ინგლისელებმა ბრაზილიელთა დარად დაამარცხეს რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია. ამ ჯგუფიდან მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს ბრაზილიელებმა და ინგლისელებმა.

მეოთხე ქვეჯგუფში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პერუს ეროვნულმა ნაკრებებმა ჩამოიტოვეს ბულგარეთისა და მაროკოს ეროვნული გუნდები და მეოთხედფინალში გავიდნენ.

მეოთხედფინალში, ურუგვაელებმა, ესპარაგოს მიერ დამარცხებით დროში – 118-ე წუთზე



გატანილი გოლის წყალობით მოიპოვეს ნახევარფინალში ბრძოლის უფლება. საინტერესოდ წარმოართა ევროპის 1968 წლის ჩემპიონის იტალიის ნაკრებისა და მასპინძელი მექსიკის გუნდების დაპირისპირება, რომელშიც იტალიელებმა 4:1 გაიმარჯვეს. ბრაზილიამ 4:2 სძლია პერუს და ასევე ნახევარფინალში გავიდა. გერმანიის ნაკრებმა დამარცხებით დროში 3:2 დაამარცხა ინგლისი, რაც ერთგვარი რეკანში იყო წინა ჩემპიონატში განცდილი მარცხისა და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალურ პაექრობაში ბრაზილიელებმა 3:1 დაამარცხეს ურუგვაელები, ხოლო მეორე მატჩში იტალიელებმა დამარცხებით დროში ანგარიშით 4:3 სძლიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს და მოიპოვეს ფინალის საგზური. მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში გერმანელებმა

ურუგვაელები ანგარიშით 1:0 დაამარცხეს.

ფინალურ მატჩში ბრაზილიელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს იტალიელები და ფიფას ინსტრუქციის თანახმად, სამუდამოდ დაეპატრონენ ნიკეს თასს.

ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამარჯვებამ და გერმანელთა უადრესად შთაბეჭდვებმა თამაშმა კიდევ ერთხელ ცხადყო შემტევი ფეხბურთის უპირატესობა. საქმე იმაში როდი გახლდათ, რომ 1970 წლის ჩემპიონატზე 1962 და 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატებთან შედარებით სულ 6 გოლით მეტი გავიდა (მექსიკაში – 95, ხოლო ჩილეა და ინგლისში – 89–89). 1970 წლის პირველობაზე ნათლად გამოჩნდა, როგორი ფეხბურთი უნდა ეწვეწებინათ გუნდებს.

გიორგი ჯალაღანია

**ფინალი**  
 ბრაზილია – იტალია 4:1 (1:2)  
 21.06.1970წ. მეხიკო "აცტეკა"-ს სტადიონი.  
 107.4120 მაყურებელი.  
 მსაჯეები: რ. გლიოქერი (გერ), რ. შერერი (შვეიცარია), ნ. აკორეზა (არგენტინა).

**ბრაზილია:** ფელიქსი, კარლოს ალბერტო (კაპიტანი), ბრიტო, პიაცა, ევერადლო, კლოდოალდო, ჟერსონი, რიველინი, ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე.

**იტალია:** ალბერტოზი, ბურგინი, ბერტინი (იულიანო 74), როსატო, ფაკეტი (კაპიტანი), სერა, დომენგინი, მაცოლა, დუ-სისტი, რივა, ბონინსენია (რივერა 84).

**გოლეები:** პელე (19), ბონინსენია (38), ჟერსონი (66), ჟაირზინიო (70), კარლოს ალბერტო (87).

**ბომბარდირები**  
 პერდ მიულერი (გერ) – 10 ბურთი;  
 ჟაირზინიო (ბრაზილია) – 7 ბურთი;  
 კუბილასი (პერუ) – 5 ბურთი;  
 ბეკენბაუერი (გერ) – 4 ბურთი;

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**  
 ბენქსი (ინგლისი), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), მური (ინგლისი), ბეკენბაუერი (გერ), კუპერი (ინგლისი), ოგერატი (გერ), ჟერსონი (ბრაზილია), რ. ჩარლტონი (ინგლისი), ჟაირზინიო (ბრაზილია), მიულერი (გერ), პელე (ბრაზილია).

**ვაზის საოცარი ჯიშო**

ფირმა "გამწვანება" კრწანისი გთავაზობთ უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტევნებს და რაც მთავარია, ყინვა და გვალვაგამძლე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში – სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლვა, როგორც კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მობარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქვიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.

**ტელ. 72-05-06.**  
**მის. – თბილისი, გორგასაძის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.**

**იამორი**

– მიხო, შე მიწადასაყრელო, ისევ დენის სუნითა ყარხარ? – ეჩხუბება ცოლი შინ დაბრუნებულ კახელს.  
 – მა რა ვქნა, დედაკაცო, შენი გულისთვის "ტრანოი" ოდეკოლონის დაღვევას ხომ არ დავიწყებ?

ცოლი ქმარს ეუბნება:  
 – ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შემოგწირე!  
 – დმერთო ჩემო! ესე იგი, ამაზე უარესი წლებიც მეღის?

– რა არის ქალში ყველაზე მთავარი?  
 – ენა.  
 – მე რე, როგორი უნდა იყოს იგი?  
 – რაც შეიძლება მოკლე...

**ირანის გახსადენმა „ნაბუკოს“ აჯობა**

ირანი ახალ რევოლუციას დაგვიპირდა – ამჯერად ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგებასთან დაკავშირებით. ირანული აირი დასავლეთისაკენ გადამზავდება, მაგრამ არა „ნაბუკოს“ საშუალებით. ირანის ნავთობის მინისტრის გოლიამჰუსეინ ნოზარის განცხადების თანახმად, მუშავდება პროექტი, რომლის მიხედვით ირანის ბუნებრივი აირი ევროპას უნდა მიეწოდოს ერაყის, სირიის, ხმელთაშუა ზღვის, მერე კი საბერძნეთისა და იტალიის გავლით.

ეს ახალი მარშრუტი ირანისათვის მეტად მოსახერხებელია. იგი აირის მიწოდებას მეგობარი ქვეყნების გავლით მოახდენს. რატომ არ მოელოდა ირანი რაიმე პრობლემებს ერაყში? მასთან ხომ სულ ცოტა ხნის წინ ომი ჰქონდა განაღებული. უბრალოდ, ირანი სათავისოდ გამოიყენებს ერაყში ამერიკული აგრესიის შედეგებს. ამერიკელებმა სადა ამჟამინდის რეჟიმში დაამხეს და ამჟამად ერაყში მეტად ძლიერია შიიტების გავლენა, რომლებიც ირანშიც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ.

რუსეთს ირანთან ნორმალური ურთიერთობა აქვს და შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს გახსადენის მშენებლობაში. მას კარგი ურთიერთობა აქვს სირიასთან,

ამიტომ რუსული კომპანიები ამ ქვეყანაშიც შეძლებენ მილსადენის გაყვანას და გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობაში მონაწილეობას. მით უფრო, რომ „ტრანსგაზი“ უკვე აშენებს სირიაში გაზის გადამამუშავებელ ორ ქარხანას, ოღონდ სხვა პროექტების ფარგლებში.

ამ სიტუაციაში გახსადენი „ნაბუკოს“ მშენებლობას, ალბათ, საერთოდ აღარ აქვს აზრი. ევროპელები მისი საშუალებით

თურქმენეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ირანის გაზის ტრანსპორტირებას აპირებდნენ. ახლა პირველი ორი ქვეყანა დასავლეთისაკენ გადამზავდებიან აირს უკვე „გაზპრომზე“ ყიდის, და საკმაოდ სარფიანად. აზერბაიჯანიც ამასვე აპირებს, ირანმა კი სულაც საკუთარი საექსპორტო პროექტის შესახებ განაცხადა. „ნაბუკოს“ გაზსადენისათვის აირი, უბრალოდ, აღარ დარჩა.

**მასთან სიცოცხლეა ხელჩაქეული მიღიან გამოჯანმრთელებული ბრუნდება**

**გაგელინი ვრეპარატი არქენს**

ავთვისებანი სიმსივნური დაავადებებს, აუზ-ნაღვლის გაუჯანმრთელებ, აროლის, ფისბალას, პროსტატის, ბუსილს, ნარვის ანთებას, ნავროს, ფსიქიკურ დაავადებებს, პარკინსონს, ასთმას, რიჟს, გულსა და თირკმელის დაავადებებს, სპონდოზოოს თირკმელში, ჰარნავს ბადანთალი სალაროუს და შილს, გვალის ცერაბრალური დაავადებას, ყარაბიდან რიკადას, ოსტეოპოროზოუს, ბიძოროს, სისხლის ბათეთრებას, სეფსისს, ბოტალიზმს, ბაბარკალოუს, მაროუს I და II სტადიაში, C-ჰეპატიტს, ბოტანს, ულანთის, ნაღვლის ბუზის დაავადებას, ანთებით პროცესებს, ქუაშიდინს, ალინაქსს, გულაუს, ფსორიაზს, სხსრაზის დაავადებას, აბილაუსიას, ახარავს იუნინებას, ანდას თავის ბინის უარდავის ალდავა-შენარჩუნებას, დაავადებათა მოქმედებას სპსალური დარღვევებზე და ნარკობიკან-თან დამოკიდებულებებზე.

**ქოროლინებათა:**  
 თალაზი, ჰავასიონის ქარა №61-ბ, გაგელინი ბიჭიო (დოზაგები).  
 ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24  
 თბილისი, წინამძღვრის 120  
 ბათუმი, სათიანის 11,  
 (ორგანაუს, ოთხგანაუს და პარასაქს, 10-დან 14 სათაგანზე).

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: <b>თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23</b></p>	<p>მთავარი რედაქტორი: <b>როლანდ ჯალაღანია</b>        მთ. რედაქტორის მოადგილე: <b>ღავით ქობალაია</b>        ტექნიკური რედაქტორი: <b>მიხაილ ჩოლოყიშვილი</b></p>	<p>anaklia@web.de        e-mail: elisabeththal@yahoo.de        რეკლამის განთავსება <b>384-197</b></p>
---	--	---	---